ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

@( 2 #) ltrtv,thb7 @)!@

1310 (6000)

afcb5 #) stshb

## კონსტანტინე მელაძეს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება



წარმოშობით ქართველმა, უკრაინასა და რუსეთში მოღვაწე კომპოზიტორმა და პროდიუსერმა კონსტანტინე მელაძემ „ლექსუსის" მარკის ავტომანქანით, კიევში 30 წლის ქალბატონი გაიტანა. რუსული მედიის ცნობით, ახალგაზრდა ქალი ადგილზე დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, კონსტანტინე მელაძე მომხდარის შემდეგ პოლიციაში თავად მივიდა. სამართალდამცავების ცნობით, მელაძე ავტომანქანას ფხიზელი მართავდა. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კონსტანტინე მელაძეს რვა წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

მედიანიუსი



## დავით უსუფაშვილი: სააკაშვილმა პედოფილი შეიწყალა"

გვ.3



## ნინო გვენეტაძე: სასამართლო დამნაშავე მოსამართლეებისგან უნდა გათავისუფლდეს"

გვ.2

## კობა სუბელიანი შესაძლოა პროკურატურაში დაიბარონ

გვ.3



ვინ და რატომ მალავდა დევნილებისთვის განკუთვნილ დახმარებას



### პარლამენტმა ამნისტიის კანონთან" დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია

საქართველოს პარლამენტმა ამნისტიის კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის ვეტო დაძლია. პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებულ კანონს პლენარულ სხდომაზე კენჭი კანონის პრეზიდენტისეული ვარიანტის ჩაგდების შემდეგ უყარეს. ვეტოს დაძლევას მხარი 91-მა დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგი კი პარლამენტის 24 წევრი წავიდა.

როგორც კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განმარტა, გადაწყვეტილების მიუხედავად, კანონი ძალაში შესული ჯერ კიდევ არაა.

ინტერპრესნიუსი

## ვინ არ უნდა მუშაობდეს შსს-ში

გვ.5





## კაზინოების შეზღუდვა არ შეიძლება!

გვ.4



გვ.6

## საახალწლო სიურპრიზი აბიტურიენტებს



## მოკლეს თუ არა უიტნი ჰიუსტონი?

გვ.9

კერძო დეტექტივის დასკვნა ოფიციალური გამოძიების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს

ISSN 1987-9385
9 771987 938006

20 დეკემბრიდან!
ვფ[ფქბ სფჯ,ფ4
+
უფქბბქტჯ
უფქბბქტბ
* ქფჰბ



# ნინო გვენეტაძე: სასამართლო დამნაშავე მოსამართლეებისგან უნდა გათავისუფლდეს“

შორენა კოწოწაშვილი

**მსგავსი კითხვები საზოგადოების ყველა ფენაში ტრიალებს. თავად საპარლამენტო უმცირესობის ლიდერები ცდილობენ, ეს ყველაფერი _ ყოფილი მაღალჩინოსნების პროკურატურაში დაბარება _ პოლიტიკური ნიშნით ახსნან. მაგრამ, ფაქტია, ეს არა დევნა, არამედ იმ საკითხების შესწავლაა, რომლებიც ეჭვებს ბადებს და, დიდი ალბათობით, სახელისუფლებო კორუფციის ფორმატში იყო მოქცეული.**



**სასამართლო ხელისუფლება რომ რეფორმას საჭიროებს და მის ობიექტურობაზე არავინ საუბრობს, ამაზე დღეს საზოგადოების უმრავლესობა თანხმდება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მაინც ისმის კითხვა: თუ პროკურატურამ სააკაშვილის მაღალჩინოსნების მიმართ სათანადო მტკიცებულებები ვერ შეაგროვა, ეს მაღალჩინოსნები რატომ დააპატიმრა?**

სასამართლო რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც. ამაზე ყურადღებას ამახვილებს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ნინო გვენეტაძეც, რომელიც თავად გახდა სააკაშვილის ხელისუფლების დევნის მსხვერპლი.

სამართლის პროფესორი ნინო გვენეტაძე მიიჩნევს, რომ ქვეყანამ სწორი სამართლებრივი გზით უნდა იაროს და საქართველოში სამართალი უნდა აღსრულდეს. მისი თქმით, საქართველოში ხშირად მოქმედებდნენ ლიბერალური პრინციპით და ამის გამო ადამიანები დაუსჯელნი რჩებოდნენ.

– სამართალი უნდა აღსრულდეს. ეს გარდაუვალია. ჩვენ ძალიან ხშირად პოლიტიკური ხელისუფლების ცვლის დროს არც პოლიტიკური შეფასებები გავაკეთეთ და არც ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულში მოვთხოვეთ პასუხი ვინმეს. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ეს გზა უფრო შემრიგებლური და ქვეყნისთვის უფრო წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით მივხვდი, რომ ჩვენ ამან მხოლოდ წრეზე გვაბრუნა და არავითარი წინსვლა და პროგრესი ამას არ მოჰყოლია. რატომ არ უნდა ვიაროთ სწორი სამართლებრივი გზით, რომლის დაკვეთასაც საზოგადოება იძლევა? – კითხულობს სამართლის პროფესორი ნინო გვენეტაძე.

რაც შეეხება იმას, რამდენად სწორია, როცა ყოფილ მოსამართლეს მოქმედი მოსამართლეების მიმართ ასეთი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია აქვს და ამას ღიად აფიქსირებს? – ამ კითხვას თავად ნინო გვენეტაძე ასე პასუხობს: „უკაცრავად, მე ძალიან ლიბერალი ადამიანი ვარ, თანაც – ძალიან სამართლიანი. როგორ შეიძლება მეთქვა, რომ დამნაშავემ პასუხი არ უნდა აგოს. ეს შეუძლებელია. ასე რომ, თუ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს დანაშაული აქვთ ჩადენილი, თუნდაც ისეთი, რომელიც საზოგადოებისთვის არ არის ძალიან მტკივნეული, მაგრამ სისხლისსამართლებრივად დასჯადია და მიეკუთვნება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რატომ არ უნდა დადგეს მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი სისხლის სამართლის წესით? ეს ჩემთვის ძალიან გაუგებარია“.

ნინო გვენეტაძე ცალსახად აფიქსირებს, რომ ის ამას ნიშნის მოგებით არ ამბობს, თუმცა ძალიან კარგად ახსოვს ის სრულიად უსაფუძვლო დევნა, რომელიც მისი და უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის – მერაბ ტურავას მიმართ ხორციელდებოდა.

– მაშინ ვერ აჯობა საზოგადოებამ და ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, მიუხედავად იმისა, რომ სად არ წავედით ჩვენი პოზიციის დასაცავად. ვინ არ დაგვიჭირა მაშინ მხარი, მაგრამ, იმდენად „შეუვალი“ აღმოჩნდა მაშინ სააკაშვილის ხელისუფლება ჩვენი წინააღმდეგობის დასათრგუნად, რომ აბსოლუტურად უსაფუძვლო და გარკვეულწილად მორალური, ადამიანური შეურაცხყოფაც კი მოგვაყენა. დღესაც კი ჩვენ დევნილ მოსამართლეთა კატეგორიაში ვართ, – აცხადებს ნინო გვენეტაძე და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკვირს, როგორ შეიძლება, დანაშაულის ჩამდენი პირი არ დაისაჯოს იმ მოტივით, რომ არ მოხდეს წინა ხელისუფლების დისკრედიტაცია.

რამდენად სასწრაფო და აუცილებელია სასამართლო რეფორმა და რა გზით უნდა განვითარდეს ქართული მართლმსაჯულება? – ამ საკითხების ირგვლივ ნინო გვენეტაძეს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

***– ქალბატონო ნინო, თქვენი აზრით, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობისა და ობიექტური მართლმსაჯულების მიღწევისთვის?***

– რომ გითხრათ, ამ საკითხზე არ მიფიქრიაო, არასერიოზული იქნება. რასაკვირველია, სასამართლო ხელისუფლებას ვგულშემატკივრობ და მინდა, განვითარების სულ სხვა ეტაპზე გადავიდეთ და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება გვქონდეს ჩვენი უფლებების დასაცავად. ამიტომ, ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლება გარანტირებული ხელისუფლებაა. მოსამართლეები 10 წლით ინიშნებიან. როგორც კონსტიტუციაში, ისე კანონში არის გარკვეული გარანტიები სასამართლო ხელისუფლების, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციის არსებობისათვის. მაგრამ, რაც დაგვემართა, დაგვემართა. ჩვენ სისტემურად მორჩილი სასამართლო და მოსამართლეთა კორპუსი გვყავდა. ეს მხოლოდ ჩემი შეფასება არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლების მესვეურნი აცხადებდნენ, სასამართლო ხელისუფლებას მოსახლეობის 68% ენდობოდა, ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს ისევე ფორმალური ციფრები იყო, როგორ ფორმალურადაც სასამართლო იყო დამოუკიდებელი. ახლა რა უნდა გავაკეთოთ: რასაკვირველია, უსამართლოდ არავის არ უნდა მოვექცეთ. ეს ცალსახაა. მაგრამ ის, რომ საჭიროა ინსტიტუციურად სასამართლო ხელისუფლება შეიცვალოს, ეს სახეზეა. იცით, რომ უკვე დაიწყო გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება იუსტიციის სამინისტროს მიერ, სადაც ახლებური ფორმირების წესი აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ძალიან დიდი როლი ეკისრება დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ფორმირების საქმეში. ახალი საკანონმდებლო ინიციატივების თანახმად, უფრო მეტად უნდა გაიზარდოს მოსამართლეთა რიცხვი ამ საბჭოში, ასევე არ უნდა იყვნენ საბჭოს წევრები პოლიტიკურად მოტივირებულნი, ანუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იყოს სხვადასხვა სახელისუფლებო წრიდან დაბალანსებული და მერე ამ სახელისუფლებო წრეების ინტერესების გამტარებელი. ახალი პროექტი ამბობს, რომ პარლამენტმა დანიშნოს იუსტიციის საბჭოს წევრები, რომლებიც არ იქნებიან პარლამენტარები, არ იქნებიან საზოგადოების გამოჩენილი ადამიანები აკადემიური წრეებიდან. რატომ არ არის მისაღები, სადაც მხოლოდ მართლმსაჯულების გაძლიერების მიზნით იქნება მუშაობა.

***– უფრო კონკრეტულად, როგორ შევცვალოთ ან გავაკეთილშობილოთ ძველი სასამართლო კორპუსი – მოსამართლეთა სრული წმენდა მოვახდინოთ?***

– კიდევ გიხსნით: ის ადამიანი, რომელსაც არავითარი დანაშაული არ აქვს ჩადენილი, რასაკვირველია, ამ კორპუსში იქნება და იმუშავებს; მეორე საკითხი: იმ ადამიანებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, რასაკვირველია, ვერც მე და ვერც თქვენ ვერ გაასამართლებთ. ისევ სამართლიანი სასამართლო პროცედურებით უნდა მოხდეს იმ ადამიანებისაგან სასამართლო ხელისუფლების განწმენდა. ახალი კადრები უნდა შეირჩეს აბსოლუტურად გამჭვირვალედ, ის კადრები, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელების რთულ მისიას იტვირთებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და თან ძალიან სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ხალხი ელოდება სამართლიანობის აღდგენას. თუ დღევანდელი ხელისუფლება ამას დააგვიანებს, ეს ახალი ხელისუფლების წისქვილზე ნამდვილად არ დაასხამს წყალს. კიდევ ვიმეორებ: კანონისა და სამართლიანობის სრული დაცვით სასამართლო კორპუსი ძირეულ ცვლილებებსა და რეფორმირებას საჭიროებს.

***– ამ კუთხით საკადრო პრობლემებიც არის? კვალიფიციური და მიუკერძოებელი მოსამართლეების დანიშვნა საქართველოში სერიოზული პრობლემაა?***

– რეალურად არის საკადრო პრობლემაც. რასაკვირველია, ასევე არის ის არასწორი სტრატეგია, რომელიც დღევანდელ სასამართლო ხელისუფლებას უჭირავს. ის გარკვეულწილად ცდილობს, დააიმედოს მოსამართლეები, რომ ისინი ხელშეუხებლები არიან, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ხელშეუხებელი არავინ არის, მათ შორის, არც მოსამართლე. არავითარი გარანტია არ ჩაიდო კანონში. ხელშეუხებელი არ არის მოსამართლე, როცა ის კანონს არღვევს. ამიტომ ეს პროცედურები იქნება განხორციელებული. შეიძლება, მტკივნეულიც იყოს, მაგრამ კიდევ ერთი, თუნდაც აკვიატებულ ფრაზად ჩამითვალეთ: სამართლიანობა უნდა აღდგეს ამ ქვეყანაში. აი, ეს არის მთავარი. საზოგადოება, რომელმაც ამ არჩევნებზე ხმა ახალ ხელისუფლებას მისცა, საპარლამენტო უმრავლესობისგან სამართლიანობის აღდგენას ელოდება. ამ მხრივ სასამართლო თუ სათანადო დონეზე ვერ იქნება და იმ სტანდარტს ვერ უპასუხებს, რასაკვირველია, პრობლემებს შექმნის.

***– ნაციონალური უმცირესობა ამტკიცებს, რომ ივანიშვილის რეჟიმის პირობებში საქართველოში ციხეში გმირები მიდიან.***

– მე ვიქნები უდანაშაულობის პრეზუმფციის დამცველი და გეტყვით, რომ მათი გმირობისა და დამნაშავეობის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. ამიტომ წინმსწრებად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურები მიმდინარეობს, ამ ეტაპზე და შემდგომაც გამამტყუნებელ განაჩენამდე მათ უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს. ამიტომ თვითონ ოპოზიციაც რომ იყოს თანმიმდევრული და ადამიანის უფლებების დამცველი, მათ შორის, მათი გუნდის წარმომადგენლებიც, ისინი ასეთ განცხადებებს ჯერჯერობით არ გააკეთებდნენ. ამით ისინი სასამართლოს გარკვეულ ზეწოლას უკეთებენ და ცდილობენ, საზოგადოებრივი აზრი თავიანთ სასარგებლოდ განაწყონ, თუმცა, ვფიქრობ, ეს მათთვის სასარგებლო სულაც არ არის. უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევენ ისინი საზოგადოებაში. თუ ისინი, მიუხედავად სამართლებრივი პროცედურებისა, უფრო იმედიანად იქნებიან და საზოგადოებას ამით გაუწევენ ოპონირებას, თუ დადასტურდება ამ ადამიანების უდანაშაულობა სასამართლოში, მე ვფიქრობ, უფრო კონსტრუქციულნი და მოგებულნი იქნებიან საზოგადოების შეფასებებშიც, იმიტომ რომ წინმსწრებად რაიმე პოლიტიკური დასათაურება მოვლენებისა მხოლოდ პოლიტიკური დარჩება. იმას, რაც სამართლებრივად უნდა გაკეთდეს, ჯერ კიდევ დრო სჭირდება. მე დროს წინ ნამდვილად ვერ გავუსწრებ. დაველოდოთ, რას იზამს სასამართლო, როგორი მართლმსაჯულება უნდათ მათაც. ისინიც ხომ ლოგიკურად ამ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ, რომ მართლმსაჯულება უნდა იყოს დამოუკიდებელი და ის არ უნდა იყოს არავითარი პოლიტიკური ძალის მორჩილებაში, როგორც, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს იყო. სააკაშვილის უმრავლესობას პოლიტიკურ მორჩილებაში ჰყავდა სასამართლო ხელისუფლება. ამიტომ არის ეჭვები, რომ ისინი თავიანთ შექმნილ სასამართლოსაც არ ენდობიან.

***– დაბოლოს, რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტი დასავლეთში გარკვეული პირების მიერ საქართველოში წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით? ანუ კოალიციური ხელისუფლების მიმართ კრიტიკა უკვე გაისმა.***

– გააჩნია, განცხადებებს ვინ აკეთებს, იმიტომ კი არა, რომ მე ოპონენტების მიმართ აგრესიული ან უარყოფითი შეფასებები მაქვს. ჩვენ ყველა შეფასება უნდა მოვისმინოთ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. დღევანდელ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ადეკვატური რეაგირების ეფექტური მექანიზმები და, ვფიქრობ, გამოხატვის ფარგლებში კრიტიკაც მოსათმენია.

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# დავით უსუფაშვილი: „სააკაშვილმა პედოფილი შეიწყალა“



შორენა მარსაგიშვილი

**კანონპროექტი ამნისტიის შესახებ დიდი ვნებათაღელვის მიზეზი გახლავთ. ნაცმოძი ამ ინიციატივას მტრულად შეხვდა. მათი განსაკუთრებული აღშფოთება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ახალმა პარლამენტმა 190 პირს – პოლიტპატიმრის, ხოლო 25 ადამიანს პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა. სწორედ ამან შეაკრთო ნაცმოძი. განსაკუთრებით შეშფოთდა მიხეილ სააკაშვილი.**

ეს არც არის გასაკვირი. კაცს დემოკრატიის შუქურობაზე აქვს პრეტენზია. მთელი ეს წლები მაკკეინი და მისი „სასტავი“ იმას ამტკიცებდნენ, სააკაშვილი დემოკრატიული გაელვებააო. ეს ამბავი დასავლურმა სამყარომ თითქმის დაიჯერა და ასეთ ვითარებაში როგორია იმის აღმოჩენა, რომ დემოკრატიულ საქართველოს 190 პოლიტპატიმარი ჰყავს.

ეს ქვეყნისთვის კარგი რომ არ იქნებოდა, ამაზე ნაცმოძმა მეოცნებეებს ბევრჯერ მიანიშნა. „ოცნებამ“ მათი თხოვნა-მუდარა და წყევლა-მუქარა არ გაითვალისწინა. ასე მიიღეს კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ხელმოსაწერად ქვეყნის პირველ პირს გადაეგზავნა. მან ამ კანონს ვეტო დაადო და საჯაროდ განაცხადა, რომ ამ კანონს ვერ დაამტკიცებდა, რადგან პედოფილებისა და ჯაშუშების შეწყალება ხდება. გუშინ კი გაირკვა, რომ დეკემბერში თავად დემოკრატიულ ნათებას შეუწყალებია პედოფილი.

შეწყალებული პედოფილის შესახებ განცხადება პარასკევს გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე დავით უსუფაშვილმა გააკეთა, რომელმაც პარლამენტის ორთვიანი მუშაობა შეაჯამა. მისი თქმით, ამ ორი თვის თავზე საქართველოს პარლამენტი შედგა.

– საქართველოს პარლამენტი არის ადგილი, სადაც უნდა წყდებოდეს, წყდება და მომავალშიც გადაწყდება ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათ შორის, პოლიტიკური პროცესებისთვის გარკვეული ჩარჩოსა და სტანდარტის დამკვიდრება. ამ ორი თვის განმავლობაში იყო საკმაოდ დაძაბული ვითარებაც უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, იყო ისეთი დღეებიც, როცა უმცირესობამ გადაწყვიტა, არ მიეღო მონაწილეობა პარლამენტის მუშაობაში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ ორი თვის თავზე მე შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს პარლამენტი შედგა... შედგა არა მხოლოდ უმრავლესობა, რომელმაც მყარად აიღო ხელში პარლამენტის მართვის სადავეები, არამედ პარლამენტი შედგა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის თანაარსებობის ადგილი. განვლილი ორი თვის განმავლობაში დეპუტატებმა 50-დე კანონპროექტი განიხილეს და კენჭი უყარეს. აქედან 10-ზე მეტ კანონპროექტზე უმრავლესობასა და უმცირესობას შორის სრული კონსენსუსური მხარდაჭერა იყო. მაგალითად, გუშინაც იყო ასეთი კენჭისყრა, როდესაც საგადასახადო კოდექსში ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს მხარი უმცირესობამაც დაუჭირა. მიუხედავად დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა, ჩვენ ვახერხებთ თანამშრომლობას კომიტეტების დონეზე და პლენარულ სხდომებზეც ძალიან საინტერესო დისკუსიები იმართება. ყველა წინაპირობაა იმისთვის, რომ საქართველოს პარლამენტმა მომავალ წელს კიდევ უფრო მაღლა ასწიოს სტანდარტი და ქვეყანაში დამკვიდრდეს ჯანსაღი პოლიტიკური დებატების კულტურა, არა მხოლოდ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის, არამედ პარლამენტსა და მთავრობას შორისაც, იმიტომ რომ რამდენიმე საკითხზე საკმაოდ მწვავე დებატები იყო საკომიტეტო მოხსენების დროს და პარლამენტის პლენარულ სხდომებზეც, ერთი მხრივ, მთავრობის პოზიციების გამომხატველებსა და, მეორე მხრივ, უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის. ეს არის ჯანსაღი პროცესი და ჩვენ მას ყველანაირად შევუწყობთ ხელს, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

უსუფაშვილმა პარლამენტის თბილისში დაბრუნებაზეც ისაუბრა. მეოცნებეები მიიჩნევენ, რომ საკანონმდებლო ორგანო დედაქალაქში უნდა იყოს. ამის გასაკეთებლად ისინი საკონსტიტუციო ცვლილების მიღებას აპირებენ. ნაციონალები კი ამას სასტიკად ეწინააღმდეგებიან. ისინი ქუთათურებს მოუწოდებენ, აქციები გამართონ და პარლამენტს არ შეეგუონ.

პარლამენტის სპიკერის განმარტებით, ქუთაისში მდებარე საკანონმდებლო ორგანოს შენობის ფუნქციონირების საკითხი პარალელურ რეჟიმში გადაწყდება.

– როგორც იცით, ინიცირებულია საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომლითაც იქმნება შესაძლებლობა, პარლამენტი დაბრუნდეს თბილისში, ძველ შენობაში. ცვლილებები თებერვალში იქნება განხილული. საგაზაფხულო სესია ისევ ქუთაისში მოგვიწევს, მაგრამ გაზაფხულის ბოლოდან, ალბათ, პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, დაბრუნდეს თბილისში, თუმცა ქუთაისს სრულად არ დავტოვებთ და ამ შენობის ფუნქციონირების საკითხსაც პარალელურ რეჟიმში გადავწყვეტთ. პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნების საკითხის განხილვის პარალელურად, უკვე დაიწყო თბილისში მდებარე შენობის წესრიგში მოყვანის სამუშაოები. შენობა უკვე გადმოცემულია პარლამენტის ბალანსზე. ამასთან, გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა კომპანია, რომელიც უახლოეს ხანებში დაიწყებს სარემონტო სამუშაოებს, – აღნიშნა სპიკერმა.

პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა პრემიერ ივანიშვილის ინიციატივას პარლამენტის დათხოვნის ვადების შემცირებასთან დაკავშირებით. უსუფაშვილის თქმით, ამის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი პარლამენტში შევა, რომელიც უმრავლესობის მხრიდან იქნება ინიცირებული.

– მან ბრძანა, რომ არასდროს ყოფილა დაინტერესებული პოლიტიკური რევანშით, მაგრამ ჩვენ ვერც იმას დავუშვებდით, დაგვეხუჭა თვალი იმაზე, თუ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში და რა სისტემა, რა რეჟიმი შეიქმნა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერების მხრიდან. ამიტომ ჩვენ არ და ვერ გავიზიარებდით იმ რჩევებს, რომ არჩევნების შემდგომ, 2-3 ოქტომბერსვე გვეთქვა, რომ მორჩა ყველაფერი, დავივიწყეთ ყველაფერი, აგერ არის დემოკრატიული უმცირესობა, რომელმაც ქვეყანა ააყვავა და ახლა ჩვენ აყვავებულ ქვეყანას უნდა გავუძღვეთ წინ. ამიტომ გარკვეული დრო დასჭირდა, რომ ბევრი რამ გამხდარიყო აშკარა, მტკიცებულებებით გამყარებული როგორც ქართველი ხალხის, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს ეტაპიც დასრულდა, ანუ რეჟიმი, სისტემა სრულად არის გამომზეურებული და, ასე ვთქვათ, გაშიშვლებული. ამ ყველაფერმა კი თავი მოიყარა 2004 წლის იმ საბედისწერო საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებში. საბედისწერო იმიტომ, რომ იმ ცვლილებებმა ააცდინა გზას „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი, რომელიც დიდი ენთუზიაზმითა და დიადი გეგმებით მოვიდა სათავეში. ერთ კაცს, პრეზიდენტს, კონსტიტუციურად ეძლევა უფლება, იგნორირება გაუკეთოს მოსახლეობის ნებას, რომელიც ორიოდე თვის წინ იყო გამოხატული. თუ ამ ცდუნებას ვერ გაუძლებდა პრეზიდენტი და ჩათვლიდა, რომ ეს იყო საჭირო და ერთადერთი გამოსავალი სრული პოლიტიკური გაკოტრებისგან თავის დასაცავად, თუ ამ ნაბიჯს გადადგამდა, ამას მოჰყვებოდა პროცესები, პირველ რიგში – ქართველი ხალხის მხრიდან. კოალიციამ გადაწყვიტა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები შეაჩეროს არასწორ გზაზე და არ დაუშვას პოლიტიკური კრიზისი.

აქედან გამომდინარე, პარლამენტი მზადაა, მოიხსნას იმუნიტეტი პარლამენტის 6-თვიანი დათხოვნის შეზღუდვის შესახებ. თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ მაინც რამე ხდება ქვეყანაში, მან საქართველო უნდა იხსნას და მთავრობა შესაცვლელია, ჩვენ ვეთანხმებით, ოღონდ ეს უნდა მოხდეს პარლამენტის დათხოვნით და ახალი არჩევნების ჩატარების გზით – მოქმედი მთავრობისა და არა პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული მთავრობის პირობებში. ჩვენ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და პრეზიდენტს ვეუბნებით – თუ ამაზე წამსვლელები ხართ, კი ბატონო. ვნახოთ, ვინ დარჩება მოგებული და ვინ წაგებული პოლიტიკურად, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მან კომენტარი პრეზიდენტისა და ოპელის ისტორიაზეც გააკეთა. სააკაშვილი იქაჩება, დედაჩემის ძველ ოპელს დავქოქავ და იმით ვივლიო. სპიკერის თქმით, მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ ის მზადაა, დაცვის გარეშე და დედის მანქანით იაროს, მხოლოდ პიარული ნაბიჯია.

– ეს იყო პიარული ნაბიჯი, რომ გარესამყაროსგან გამოეწვია სენტიმენტები, რომ ის იჩაგრება და ამიტომაა იძულებული, მთავრობა დაითხოვოს. მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და პრეზიდენტს ვეუბნებით, დაიტოვე, რაც გჭირდება დასაცავად. დაიტოვე საკუთარ დაქვემდებარებაში, ადმინისტრაციაში და კანონპროექტში შევა სათანადო ცვლილებები. პარლამენტში შემოსული იყო გარკვეული კანონპროექტები პრეზიდენტის კომპეტენციიდან მთავრობაში გადასასვლელად – პრეზიდენტს ვეუბნებით, დაიტოვე ეგ საკითხები, არ გვჭირდება ზედმეტი უფლებამოსილება ჩვენი კომპეტენციების განსახორციელებლად, – განაცხადა უსუფაშვილმა.

დავით უსუფაშვილი პრეზიდენტის გამოსვლას გამოეხმაურა, სადაც ის ახალ მთავრობას პედოფილებისა და ჯაშუშების გათავისუფლების მცდელობაში ადანაშაულებს. სპიკერმა წარმოადგინა საბუთები, სადაც პრეზიდენტის ხელმოწერით შეწყალებული არიან მსგავსი მუხლებით გასამართლებული პირები.

– შემოვიდა უკადრებელი თემები საუბრით, რომ ჩვენ პედოფილებს ვუშვებთ და ა.შ. ეს არის მიზანმიმართული PRიარაქცია იმ მიზნით, რომ გადაიფაროს პოლიტპატიმრების პრობლემა. 13 დეკემბერს განხორციელებულ შეწყალების აქტში არსებობს მოქალაქე გ.ჩ., რომელიც პრეზიდენტმა შეიწყალა. ის იყო სწორედ 141-ე მუხლით დაპატიმრებული, რომელიც ითვალისწინებს გარყვნილ ქმედებას არასრულწლოვანთან“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ირონიულად აღნიშნა ის ფაქტი, რომ თუ თავად პრეზიდენტი შეიწყალებს კონკრეტულ დანაშაულში მსჯავრდებულს, პარლამენტს ამის უფლება არ გააჩნია. უსუფაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთ გათავისუფლებულ მსჯავრდებულს 2023 წლამდე ჰქონდა მისჯილი პატიმრობა.



# კობა სუბელიანი შესაძლოა პროკურატურაში დაიბარონ



## ვინ და რატომ მალავდა დევნილებისთვის განკუთვნილ დახმარებას

შორენა მარსაგიშვილი

პროკურატურაში შესაძლოა კიდევ ერთი დეპუტატი დაიბარონ. კბილაშვილის სმაილიკი ამჯერად კობა სუბელიანს ულიმის ცუდად. ამ უკანასკნელთან ისედაც უამრავი პრეტენზიები არსებოდა. მას დევნილები უამრავ ბრალდებას უყენებდნენ. წინა მოწვევის პარლამენტმა რამდენჯერმე მოითხოვა მისი გადაყენება.

სააკაშვილი მას ვერ შეელია. სუბელიანს ზურგს თბილისის მერი გიგი უგულავაც უმაგრებდა. უგულავას მხარდაჭერა მას შესაძლოა ახლაც დასჭირდეს. დევნილთა სამინისტროში გუშინ რამდენიმე არალეგალური საწყობი აღმოაჩინეს.





საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულებისთვის განკუთვნილი პროდუქტებით და საყოფაცხოვრებო ნივთებით სავსე 5 არალეგალური საწყობი აღმოაჩინა.

საწყობში აღმოჩენილია დიდი ოდენობით ტელევიზორები, თეთრეული, ჭურჭელი, სახელმძღვანელოები, საკვები პროდუქტები და სხვა ნივთები. სამინისტროს ინფორმაციით, სურსათი უკვე გამოუსადეგარია. ზარალი 3 ,5 მილიონ ლარს აღწევს.

2008-2009 წლებში, აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 15, 5 მილიონი ლარი გამოიყო.

– დაწყებულ იქნა შიდა აუდიტი, რომლის საინვენტარიზაციო კომისიამ მატერიალური მარაგების შეძენა-განკარგვის კანონიერების შესწავლის შედეგად გამოავლინა შემდეგი: 8 777 ერთეული სხვადასხვა დასახელების 289 134 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების დანაკლისი. საწყობებში აღირიცხა 1 172 ცალი, 40 000 ლარამდე ღირებულების გაზის ბალონი, გაზით დატენილი, რომელიც შეძენილი იყო 2009 წელს და დღემდე ინახება საწყობებში, – განაცხადა განსახლების და ლტოლვილთა მინისტრმა დავით დაახველიძემ.

მისი თქმით, სამინისტრომ შესაბამისი მასალები პროკურატურას უკვე გადასცა. დარახველიძე საქმის დროული გამოძიებას ითხოვს.

მინისტრის თქმით, შესაძლოა განსახლებისა და ლტოლვილთა მაშინდელი მინისტრის კობა სუბელიანის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

საწყობების აღმოჩენამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია. ბრალდებებს კობა სუბელიანმაც გასცა პასუხი. ის როგორც უოველთვის თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს.

მისი განცხადებით, დაზარალებულ მოსახლეობას დახმარება დაურიგდა, საწყობებში აღმოჩენილი დახმარება კი მარაგი იყო.

საინტერესოა რატომ ინახავდნენ ამდენი წლის მანძილზე საკვებ პროდუქტებს? ისინი 2008-2009 წლებში უნდა დარიგებულიყო. და როგორც დარახველიძემ განმარტა, ეს პროდუქტები უკვე გამოუსადეგარია.

# კაზინოების შეზღუდვა არ შეიძლება!

ნათია ხურცილავა

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შემაჯამებელი პრესკონფერენცია გამართა.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის არსებული დაპირისპირება, რომელიც ხშირად ირონიასა და ცინიზმში გადადის, შეიძლება, ინვესტორებისთვის უარყოფითი მესიჯი გახდეს.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა ჟურნალისტის იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის თანახმად, „იმ ქვეყანაში, სადაც პრემიერი და პრეზიდენტი ერთმანეთთან მუდმივი ოპონირების და ქილიკის რეჟიმში იმყოფებიან, გარისკავს თუ არა ინვესტორი ინვესტიციების ჩადებას?“

— სამწუხაროდ, ამ დაპირისპირების სათავე არა მგონია, რომ პრემიერ-მინისტრი იყოს. ვფიქრობ, თავის დროზე წინა ხელისუფლების მხრიდან ცოტა მეტი თვითკრიტიკა რომ გვეხილა, ასეთ დაპირისპირებას თავიდან ავიცილებდით. სამწუხაროდ, ეს თვითკრიტიკა დღეს არ არის და გამომდინარე აქედან, ის ვითარება, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ნორმალური არ არის. არა მგონია, რომ ეს ინვესტორებისთვის კარგი იყოს. თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამის თავი და თავი არ არის ჩვენი მთავრობა და პრემიერ-მინისტრი. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ჩვენგან შესაძლოა კითხვად დაისვას და პასუხი გაეცეს, სამწუხაროდ, უარყოფითი პიარის სახით გადის გარეთ. ჩვენ გვიწევს მუდმივად მოპასუხის რეჟიმში ყოფნა და აქედან გამომდინარე, ეს არის პრემიერ-მინისტრის რეაქცია, — აცხადებს გიორგი კვირიკაშვილი.

პრესკონფერენციაზე კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მთავრობაში მსჯელობა მიდის იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა სათამაშო ბიზნესი ქვეყანაში. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით შეზღუდვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, სასტუმროებში განთავსებული კაზინოების შეზღუდვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს.




ამის შესახებ კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

— კაზინოებისა და ზოგადად სათამაშო ბიზნესის თემაზე მთავრობაში მსჯელობა მიდის. ჩემი პირადი აზრია, რომ სასტუმროებში განთავსებული კაზინოების შეზღუდვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს, რადგან მათ სასტუმროების ფინანსური სტაბილურობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

როგორც ცნობილია, წინასაარჩევნოდ პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი სათამაშო ბიზნესის აკრძალვაზე საუბრობდა, თუმცა შემდგომ გაკეთდა განმარტებები, რომ ამ ბიზნესში სერიოზული შეზღუდვები არ იქნებოდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ „კალა კაპიტალის“ საქმესაც შეეხო.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „კალა კაპიტალთან“ დაკავშირებით, კონკრეტული გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში გაირკვევა და ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი ნეპოტიზმის გარეშე გადაწყდება.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე კომპანია „კალა კაპიტალის“ „არსენალ სითის“ პროექტის ირგვლივ შექმნილი პრობლემის კომენტირებისას განუცხადა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების ამჟამინდელი მინისტრი კახი კალაძე იყო.

— საინვესტიციო ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია. კომპანია „კალა კაპიტალის“ „არსენალ-სითის“ პროექტი ერთ-ერთია მათ შორის, სადაც ვალდებულების გადაცილებას ჰქონდა ადგილი და იყო სხვა საკითხებიც. მინდა აღვნიშნო, რომ მას არავითარი პრეფერენციები არ შეექმნება. აღნიშნულ საკითხზე კონკრეტული გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში მიიღება, მაგრამ არანაირ პოლიტიკურ ნეპოტიზმსა და პროტექციონიზმს ადგილი არ ექნება, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

როგორც ცნობილია, 2008 წელს „არსენალ დეველოპმენტმა“ ყოფილი არსენალის მთაზე შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი 38 მლნ დოლარად იყიდა, თუმცა ამ თანხიდან მხოლოდ 19 მლნ აქვს დაფარული.

კომპანიას „არსენალ სითის“ პროექტი უნდა განეხორციელებინა, რომელიც არსენალის ტერიტორიაზე საცხოვრებელი და კომერციული ფართების, სამთავრობო სტრუქტურების შენობების, გასართობი ობიექტების მშენებლობას გულისხმობდა, თუმცა პროექტის განხორციელება ამ დრომდე არ დაწყებულა.

კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების ამჟამინდელი მინისტრი კახი კალაძე იყო. კალაძესა და მთავრობას შორის უთანხმოება 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ წარმოიშვა.

ცნობილია, რომ ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაია სიდამონიძემ თანამდებობა დატოვა. სწორედ აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ეკონომიკის მინისტრი.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს უახლოეს მომავალში წარადგენს.

ამის შესახებ კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განუცხადა.

მისი თქმით, სამინისტრო მოლაპარაკებებს ორ კანდიდატთან აწარმოებს და ის უახლოეს დროში დასრულდება.

— ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მაია სიდამონიძემ თავისი ნებით გადაწყვიტა, რომ დატოვოს თანამდებობა, რადგან შემოთავაზება კერძო სექტორიდან მიიღო. ჩვენ ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ორ კანდიდატთან, რომელთა ვინაობას ჯერჯერობით ვერ დავასახელებ, თუმცა აღნიშნული მოლაპარაკებები ძალიან მალე დასრულდება და ახალ ხელმძღვანელს უახლოეს მომავალში წარვადგენთ, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ცნობისთვის, 2013 წლის 1 იანვრიდან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია სიდამონიძე დაკავებულ თანამდებობას დატოვებს.

როგორც მაია სიდამონიძე აცხადებს, წასვლის შესახებ მან გადაწყვეტილება საკუთარი ნებით მიიღო.

— უკვე მესამე წელია, რაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ. ახლა კი გადავწყვიტე, რომ წავიდე და საქმიანობა კერძო სექტორში გავაგრძელო, — განაცხადა სიდამონიძემ.

როგორც ცნობილია, მაია სიდამონიძე ეკონომიკის და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის ვერა ქობალიას კადრი იყო. ის ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად სპეციალურმა საკონკურსო კომისიამ, რომელსაც თავად ქობალია ხელმძღვანელობდა, შეარჩია.

ყოფილი ხელისუფლებისთვის ტურიზმი პრიორიტეტულ მიმართულებად იმთავითვე იქნა აღიარებული. ივანიშვილის მთავრობის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, ტურიზმი კვლავ რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად.

— ტურიზმი ეკონომიკის სამინისტროს უმთავრეს პრიორიტეტად რჩება, — აცხადებს კვირიკაშვილი.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ტურიზმი არის დასაქმების მნიშვნელოვანი წყარო და ქვეყნის ცნობადობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ბიძგი.

მინისტრის განმარტებით:

— ამ სფეროში ყველა დახარჯული თეთრის ეფექტურობა გაიზომება და ხარჯვა ასე მოხდება, — ამბობს კვირიკაშვილი.

მინისტრი ასევე შეეხო აჭარის განვითარების საკითხს. კვირიკაშვილის თქმით, სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი აჭარის განვითარებაა.

წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ასევე ცნობილი გახდა, რომ ეკონომიკის სამინისტრო თებერვლამდე მიწის პრივატიზაციის საკითხის მოწესრიგებას გეგმავს. მინისტრის განმარტებით, პრივატიზაციის წესები საჯარო გახდება.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ასევე გამოეხმაურა ბიზნესომბუდსმენისა და ბიზნესასოციაციის მუშაობის საკითხს.

მინისტრის აზრით, ბიზნესომბუდსმენსა და ბიზნესაცოციაციის წარმომადგენლებს სერიოზულად სჭირდებათ გააზრება, თუ რა ფორმატში უნდა გაძლიერდნენ.

— მე არ მახსოვს არც ერთი ხმაურიანი საქმე, რომელიც ბიზნესომბუდსმენმა გადაწყვიტა, — დასძინა კვირიკაშვილმა.

ეკონომიკის მინისტრი ასევე გამოეხმაურა გასულ თვეში სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების თანამშრომლების გაფიცვის საკითხს და აღნიშნა, რომ ამ კუთხით პრობლემები ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

— ჩვენ ვთხოვეთ როგორც ხელმძღვანელობას, ასევე თანამშრომლებს, რომ თავი შეეკავებინათ ასეთი პროტესტისგან და კომპანიის ხელმძღვანელების მხრიდან შემხვედრი ნაბიჯები გადაიდგა, — განმარტა კვირიკაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, რამდენიმე პრობლემა გადაწყდა, თუმცა მოუგვარებელი პრობლემების ჩამონათვალი ჯერ კიდევ არსებობს.

# გიორგი მარგველაშვილი: ჩემს პროფესიასთან შედარებით ძალიან მდიდარი ვარ“

ნათია ხურცილავა

მთავრობის სხდომაზე გუშინ მინისტრები შეიკრიბნენ. მინისტრთა ნაწილმა პრესის კითხვებს უპასუხა.



განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ჟურნალისტების კითხვაზე პრემიერის ოპოზიციასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა:

— მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნასთან დაკავშირებით პრემიერმა ადეკვატური, სხარტი, ძალიან სწორი და იუმორისტული განსაზღვრება გააკეთა, — განუცხადა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა.

მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ მთავრობამ უნდა იზრუნოს ქვეყნის სტაბილურობაზე და ამის მთავარი გარანტია კონსტიტუცია. ვარიანტები იმისა, რომ კონსტიტუციური კოჰაბიტაცია განხორციელდეს, ამასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა, — განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ კი აღნიშნა, რომ ივანიშვილის ინიციატივა არის პასუხი პრეზიდენტის ბოლოდროინდელ რიტორიკაზე, რომელსაც ის მთავრობის მიმართ ახორციელებს. დარახველიძის თქმით ის, როგორც მინისტრი, მზადაა გადადგეს თუ პრეზიდენტი დაითხოვს მთავრობას და მონაწილეობა მიიღოს ახალ არჩევნებში.

გიორგი მარგველაშვილმა ასევე ისაუბრა ქონებრივ დეკლარაციაზე, რომელიც მინისტრებმა და პრემიერმა უკვე შეავსეს.

— ჩემს პროფესიასთან შედარებით ძალიან მდიდარი ვარ, — ამის შესახებ მთავრობის სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განუცხადა.

მისი თქმით, მის პროფესიასთან შედარებით ის ძალიან მდიდარია, რადგან მისი პროფესიის ადამიანებს იმდენი ფული არ აქვთ, რამდენიც მას აქვს.

— ფილოსოფია რომ გაქვს დამთავრებული და 60.000-მდე რომ გაქვს შემოსავალი, ცუდი არ არის, — განაცხადა მინისტრმა და ამასთან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მინისტრია, ამდენი შემოსავალი აღარ აქვს.

# სახალხო კრების“ წევრების წამებისთვის დაკავებულ ბორჯომის პოლიციის ყოფილ უფროსს ახალი ბრალი წაუყენეს

ბორჯომის პოლიციის ყოფილ უფროსს მამუკა ახვედელიანს ახალი ბრალი წაუყენეს. როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში შსს ბორჯომის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს.

განცხადების თანახმად, გამოძიების დაწყებას ბორჯომის რაიონ დაბა ახალდაბაში მცხოვრები ტრისტან ჩადუნელის, მერაბ რიკაძის და ნიკოლოზ ლომიძის განცხადება დაედო საფუძვლად, სადაც მიუთითებენ, რომ 2011 წლის 27 მაისს ბორჯომის პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

„გამოძიებით ირკვევა, რომ 2011 წლის 26 მაისს დაბა ახალდაბაში მცხოვრები ნიკოლოზ ლომიძე, ტრისტან ჩადუნელი და მერაბ რიკაძე თბილისში, იმ დროს არსებული ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „სახალხო კრების“ მიერ გამართულ აქციაზე იმყოფებოდნენ. მიტინგის დარბევის შემდეგ, აღნიშნული პირები, დაბა ახალდაბაში 2011 წლის 27 მაისს გამთენიისას დაბრუნდნენ“ – ნათქვამია განცხადებაში.

პროკურატურის წარმომადგენლების განცხადებით, იმავე დღეს, დღის პირველ ნახევარში ზემოაღნიშნული პირები მეგობრებთან ერთად, დაბა ახალდაბაში არსებულ რესტორან „ბურჯებში“ დასხდნენ, დაახლოებით 15-20 წუთში რესტორანში ბორჯომის პოლიციის უფროსი მამუკა ხვედელიანი, მისივე თანამშრომლებთან სერგო სამსონიძესთან, დავით ჩხიკვაძესთან და მამუკა მაღლაკელიძესთან ერთად მივიდა. „რიკაძე, ლომიძე და ჩადუნელი გამოიყვანეს გარეთ, სადაც მამუკა ხვედელიანმა ტრისტან ჩადუნელს ხელი გაარტყა და უთხრა რომ „ეხლა ველარ უშველიდა ოპოზიცია“. შემდეგ კი აღნიშნული პირები ავტომანქანაში ჩაისვეს და ბორჯომის პოლიციის შენობაში წაიყვანეს, სადაც ხვედელინმა მათ „სახალხო კრების“ აქციაზე დასწრების გამო უსაყვედურა. ამის შემდეგ ცალ-ცალკე ოთახებში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს“– აცხადებენ პროკურატურაში.

მათივე თქმით, იატაკზე წაქცეულ ლომიძეს მამუკა ხვედელიანი, ინსპექტორ-გამომძიებელი გიორგი ლომიძე და გამოძიების ამ ეტაპზე დაუდგენელი სხვა პოლიციის თანამშრომლები ფეხებს ურტყამდნენ.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ რიკაძეს, ჩადუნელს და ლომიძეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენიათ. მათი დაკავება და ფიზიკური შეურაცხყოფა 2011 წლის 26 მაისს „სახალხო კრების“ მიერ გამართულ აქციაზე ყოფნით იყო განპირობებული.

**ნიუსპრესი**

# გამოკითხულთა უმრავლესობა ახალ წელს საკუთარ სახლში ხვდება

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ, 21 დეკემბრიდან 28 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა ახალ 2013 წელთან შეხვედრას საკუთარ სახლში აპირებს.

კითხვაზე „სად ხვდებით ახალ 2013 წელს,“ გამოკითხვის მონაწილეთა 66,7 პროცენტმა უპასუხა, რომ ახალ წელს სახლში ხვდება, 12,5 პროცენტი კი ახალი წლის შეხვედრას მეგობრების წრეში აპირებს.

საკმაოდ დიდია მათი რიცხვი, ვინც ახალ წელს სამსახურში შეხვდება. მათი რაოდენობა გამოკითხვაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 16,7 პროცენტია, 4,2 პროცენტს კი ჯერ არ გადაუწყვეტია სად იზეიმებს ახალი წლის დადგომას.

**ნიუსპრესი**

# თავდაცვის სამინისტრო კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას გეგმავს

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კვების პროდუქტებზე საჯარო შესყიდვას აცხადებს. ამ საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროში ბრიფინგი გაიმართა.

„იგეგმება ხარისხის გაუმჯობესება სხვადახვა პროდუქციისათვის. მაგალითად, ჯარის მენიუში მეორე კატეგორიის საქონლის ხორცს შეცვლის პირველი კატეგორიის ხორცი, რომლის გემოვნური და ხარისხობრივი მაჩვენებლები გაცილებით მაღალია“ – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

საჯარო შესყიდვა დაყოფილია მაქსიმალურად დივერსიფიცირებული პროდუქტული და რეგიონული ნიშნით, რომელიც მცირე და საშუალო სიდიდის ადგილობრივ კომპანიებს, ეროვნული პროდუქციის მწარმოებლებს, საშუალებას მისცემს ჯარის მომარაგებაში მიიღონ მონაწილეობა.

განცხადების შემოტანის ბოლო ვადა 2013 წლის 5 იანვარია.

**ნიუსპრესი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ არ უნდა მუშაობდეს შსს-ში

შორენა კოწოწაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი საუბრობს, რომ ივანიშვილის გუნდმა გარკვეული შეცდომები უკვე დაუშვა და ეს სასამართლო ხელისუფლების მუშაობას ეტყობა. ხატიაშვილი ფიქრობს, რომ შეცდომები აქვს შს მინისტრსაც.

რა ხდება პოლიციასა და პროკურატურაში, გრძელდება თუ არა პოლიციის ძალადობა და რატომ ვერ ელევა შს მინისტრი დისკრედიტებულ კადრებს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატთა „ასოციაციის ხელმძღვანელ“ ზაზა ხატიაშვილთან.

*– ბატონო ზაზა, რამდენად აქტიურად იკვეთება ორხელისუფლებიანობის პრობლემა იგივე სასამართლოს და პროკურატურის თანამშრომლობიდან გამომდინარე? ივანიშვილის ხელისუფლება შეცდომებს უშვებს?*

– საერთოდ, მე გაკვირვებული და აღშფოთებული ვარ იმით, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირველი სახეები ამბობენ, საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამას წინათ ეს პრემიერ-მინისტრმაც განაცხადა და შოკში ვიყავი. მე ვფიქრობ, არანაირი დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო იმაზე მინიმუმ 30% ხმა, ვიდრე მას დაუფიქსირეს. „ქართულ ოცნებას“ საზოგადოებაში ამხელა მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა, ელემენტარულად, სააკაშვილის რეჟიმს 30% გაყალბებული ჰქონდა. ჩვენ ვაკვირდებოდით არჩევნებს და ვიცით, რომ იქ შეიძლებოდა გასულიყო დაახლოებით 10 მაჟორიტარი და მაქსიმუმ 10-12% ხმა. ესეც ზეწოლის შედეგად. დანარჩენი, ამ არჩევნებზე ხდებოდა ძალიან დიდი უკანონობები. ვფიქრობ, ახალმა ხელისუფლებამ დაუშვა სერიოზული შეცდომა, როდესაც ეს ფაქტები სააშკარაოზე არ გამოიტანა და მხარი აუბა ამერიკის საელჩოს, ევროკავშირის, ევროსაბჭოს განცხადებებს, რომ საქართველოში ხელისუფლება დემოკრატიის გზით შეიცვალა. რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია, რომ ხელისუფლება სისხლისღვრის გარეშე შეიცვალა, მაგრამ ის, რომ ეს დემოკრატიული გზით მოხდა და სააკაშვილმა ხელისუფლება დათმო სამართლიანი არჩევნებით, ასე ნამდვილად არ არის. სააკაშვილმა იმდენად სერიოზულად წააგო არჩევნები, რომ დასავლეთი იძულებული გახდა „დემოკრატიის შუქურას“ ეს დამარცხება ელიარებინა. პირველ რიგში, როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა, მე განცხადება გავაკეთე და ვთქვი: ყველაზე დიდი დამნაშავე საქართველოს უახლეს ისტორიაში არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი და მისი მოსამართლეები. მოვუწოდე ხელისუფლებას, რომ დაწყებულიყო ამ მოსამართლეების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესწავლა საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებით. მე შევქმენი კომისია, რომელიც შეისწავლიდა მოსამართლეების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებს და გააგზავნიდა იუსტიციის სამინისტროში. ასეთი მიდგომა იყო და ეს საქმეებითაც დასტურდება, რომ როდესაც ხდებოდა აღკვეთის ღონისძიების შესახებ პატიმრობის შეფარდება, მოსამართლეები კოპიფეისით ახდენდნენ ფლეშკის და დისკის გამოყენებით, პროკურატურის მიერ შემოტანილი შუამდგომლობის სასამართლოს გადაწყვეტილებაში გადაწერას. ადვოკატის მტკიცებულებებზე საერთოდ არ საუბრობდნენ. ეს არის ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა – სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევა; მინიმუმ არის სამსახურებრივი გულგრილობა და თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტება. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული.

*– მოსამართლეებს გამზადებული განაჩენები ჰქონდათ პროკურატურიდან მისული და მხოლოდ სახელს და გვარს ცვლიდნენ?*

– რა თქმა უნდა. მაგალითად, საქმე, რომელიც მე შევისწავლე. აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას უფარდებენ ადვოკატ მადონა მილდიანს. პროკურორი შემოდის სასამართლოზე შუამდგომლობით, რომ მადონა მილდიანს შეეფარდოს ორი თვით წინასწარი პატიმრობა. მოსამართლე ბეჭედს ისე არტყამს, რომ არ კითხულობს. პროკურორს შეეშალა და საქმეში მადონა მილდიანზე ხომ იყო ლაპარაკი, მეორე გვერდზე წერია: რევაზ ოქროპირიძე არ დაემალება გამოძიებას და ა.შ. მოსამართლემ ისიც კი ვერ გაბედა, რომ ეს შეეცვალა და ასევე გადმოიტანა მილდიანის გადაწყვეტილებაში. მე ვნახე, ეს არის სამი-ოთხი გრამატიკული შეცდომა, მოსამართლის ბრძანებაშიც იგივეა. ანუ არანაირი მართლმსაჯულება არ ხორციელდებოდა. მოსამართლე იღებდა პროკურორის მიერ დაწერილ შუამდგომლობას და ბრალდების ფაბულის კოპირებას ახდენდა თავის განაჩენში. ამიტომ ვფიქრობდი, რომ ახალი ხელისუფლება უნდა წასულიყო ამ გზით – ჩაეტარებინა ექსპერტიზა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტების მეშვეობით, რომლებიც დაადგენდნენ, რომ საქართველოში სასამართლო არ არსებობდა. ამით ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ამერიკის ის ინსტიტუტი, რომელმაც ჩვენი „შუქურა“ სასამართლო რეფორმაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა. ამერიკამ სააკაშვილს დემოკრატიის შუქურა რომ უწოდა, სააკაშვილი სპეცრაზმით შევარდნილი იყო ტელეკომპანია „იბერიაში“ და ჟურნალისტები მიწაზე ჰყავდა დაყრილი. როგორ გგონიათ, რომელიმე დიქტატორს აპატიებდნენ 7 ნოემბრის აქციას, „იმედის“ დარბევას ან 26 მაისს? მაგრამ სააკაშვილს აპატიეს, იმიტომ, რომ მას ჰყავდა ძალიან ცუდი, უნამუსო დიპლომატები, რომელთა დახმარებითაც ცდილობდა ყველა სიტუაციიდან სუფთად გამომძვრალიყო. გაგახსენებთ, 26 მაისის დარბევის დროს დიპლომატიურ კორპუსს ხმა არ ამოუღია. ახლა კი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ეხება ახალი ხელისუფლებაო ისე გაკივის, ლამის ლოზუნგები გამოფინოს. აი, ეს არის ორმაგი სტანდარტი სააკაშვილთან მიმართებაში.



*– ანუ, გარე ძალები ცდილობენ, რომ სააკაშვილმა სასამართლოზე გარკვეული ბერკეტი შეინარჩუნოს?*

– სასამართლო ხელისუფლება იყო სააკაშვილის რეჟიმის მთავარი დასაყრდენი. ეს საქართველოში ყველამ იცის. აქ იყო რეჟიმი და ამ რეჟიმის ძირითადი დასაყრდენი იყო ის უნამუსო, ფეოდალური სასამართლო, რომელსაც დიდი ფეოდალი კონსტანტინე კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა. იმიტომ არის კოტე კუბლაშვილი ფეოდალი, რომ ის არის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს მოსამართლეთა კონფერენციას, შეუძლია ნებისმიერი ინიციატივა წარადგინოს და არის იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელი. მე რომ გავხდე ეთიკის კომისიის თავმჯდომარე და ეს ფუნქცია შევითავსო, საერთაშორისო ორგანიზაციებს აქედან ვერ გაიყვან, ჩამქოლავენ, ეგ როგორ შეიძლებაო. მაგრამ კუბლაშვილზე ყველამ თვალი დახუჭა. ახლა, როდესაც თეა წულუკიანი გამოდის იუსტიციის საბჭოს ინიციატივით, ის საერთაშორისო ორგანიზაციები გააქტიურდნენ. ვისაც ხმა უნდა ამოეღო იმაზე, რომ კოტე კუბლაშვილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც იხილავდა მოსამართლეთა დისციპლინური დევნის საკითხებს. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში სპეციალურად ცვლილება შეიტანეს და იუსტიციის საბჭოს მდივანია. წარმოგიდგენიათ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა იუსტიციის საბჭოს ხელმძღვანელი და სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე არის იუსტიციის საბჭოს მდივანი. ეს არის ფეოდალური სისტემა – ყველაფერი ერთი ადამიანის ხელშია. სწორედ კუბლაშვილი აკანონებდა, რომ მოსამართლეებს შეესრულებინათ ყველა ის უმსგავსობა, რომელიც ამ სასამართლო სისტემაში ხდებოდა. ამიტომ, მე ვფიქრობ, თავიდან ამით უნდა დაგვეწყო და მეორე, ყველაზე საშინელი, რაც შემიძლია გითხრათ, ძალიან ბევრი ძველი უნამუსო პროკურორი დარჩა თანამდებობაზე. ჩვენ გავახმაურეთ ლაშა და გიორგი სოზაშვილების წამების ფაქტი, რომელიც 2 დეკემბერს მოხდა. პოლიცია ამ ძმებს თავს დაესხა, კერძოდ, იოსებ სახლთხუციშვილი და იოსებ ბაიაძე. შემდეგ აღმოჩნდა, რომ თურმე ამათ სცემეს პოლიციელებს და ქურთუკები დახევიათ. პოლიციელებმა მტკიცებულებად წარმოადგინეს ეს ქურთუკები. ისნის პროკურატურაში არის ძალიან ბევრი ყოფილი მაღალჩინოსნის, ისნის პროკურორისა და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელის – გაგნიძის დაქვემდებარებაში გამოზრდილი პროკურორები. როცა პოლიციას სჭირდება, მაშინვე ვიდეოკადრები ჩნდება. როდესაც იქ მოხდა დანაშაული, ესენი ამბობდნენ, რომ პოლიციის ფორმა არ ეცვათ და თავს დაგვესხაო. პოლიცია კი იძახდა, ფორმით ვიყავით, მოწმობა წარვუდგინეთ და ვკითხეთ, ბიჭებო, რატომ ჩხუბობთო. გახსოვთ, 2005 წელში გიორგი მიქიაშვილის საქმე, რომელიც პოლიციასთან მივიდა, გაანებეთ თავი, ჩემი მეგობრები რატომ დააკავეთო. იქ სიტუაცია ასეთი იყო: ერთი ადამიანი მორბოდა, ქალი უკან მოსდევდა. მივიდნენ და დაიჭირეს, ტელეფონი რატომ მოიპარეო. ესენი ცოლ-ქმარი აღმოჩნდნენ. მერე თავის ძალადობა რომ გაემართლებინათ, მიქიაშვილი აწამეს. ევროსასამართლომ ამ საქმეზე 9 ოქტომბერს გადაწყვეტილება გამოიტანა და სახელმწიფო დაადანაშაულა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაში – წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში. იგივე მაგალითია: ძმები დგანან. ერთმა მეორეს სთხოვა, ხვალ მუშა მყავს და გათბობის გაყვანაში მომეხმარეო. წინ დგას „ოპელის“ ფირმის მანქანა. ამათ დაუსიგნალეს. როგორ დაგვისიგნალეო, გადმოვიდნენ მანქანიდან, ამღვრეული თვალები ჰქონდათ და ცემა დაგვიწყეს. მე დანა ამოვიღე, ყაჩაღები მეგონა და შეეშინდებათო. მერე პოლიცია მოვიდა და დაგვაკავა, თითქოს თავდასხმა მოხდა. პოლიციის ფორმა მათ არ ეცვათო. მერე კი აღმოჩნდა, რომ ძმებმა თითქოს პოლიციელებს ქურთუკი დაუხიეს. ლეგიტიმური კითხვა დაისვა; პოლიციაში როცა მიიყვანეს ძმები სოზაშვილები, კადრები ამოიღონ, ეცვათ თუ არა მათ პოლიციის ფორმა. რა უნდა ამ დანაშაულის გახსნას, ხომ? ახლა, მე როგორც ვიცი, ადვოკატმა მიმართა მთავარ პროკურატურას [illegible] საბრალდებო სკამზე არ სხედან.

*– ანუ პოლიციაში იგივე ტენდენციაა ძალადობის, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო?*

– ეს, რა თქმა უნდა, ორ დღეში ვერ შეიცვლება. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი იუსტიციის მინისტრი, გენიოსი. ნახეთ, წულუკიანმა რა კარგი ნაბიჯი გადადგა, სააკაშვილის ეს ტაშისმკვრელი პოლიტიკოსები რომ აყვირდნენ, დიპლომატები – წავიდა ევროსაბჭოში და აიღო ვალდებულება, რომ გირგვლიანის საქმეზე გადაწყვეტილებას აღასრულებდა, რადგან ამ გადაწყვეტილებაში ხელისუფლების პირველ პირებზეა მითითებული. როგორი ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა, ხედავთ?! ძალიან ჭკვიანურ ნაბიჯებს დგამს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც. მაგრამ იმდენი უწესო ადამიანი შევიდა შს სამინისტროში, რომ ძალიან ძნელი იქნება, მთავარმა პროკურორმა ეფექტი უცებ მიიღოს. ძალიან მწყინს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ისეთ მტერს, როგორიც სააკაშვილია, აკეთებინებენ განცხადებას, რომ ალეკო ტაბატაძე დანიშნესო. მიმაჩნია, რომ მართლაც სამარცხვინოა ალეკო ტაბატაძის შს მინისტრის მოადგილედ დანიშვნა. ეს ღარიბაშვილს არ უნდა გაეკეთებინა. თუ ღარიბაშვილს არ უნდა ასეთი მოადგილე, მაშინ ვინც ტაბატაძე დანიშნა, მან უნდა იცოდეს მისი არცთუ შორეული წარსული. ალავიძის დროინდელ პოლიციაში ტაბატაძე იყო ერთ-ერთი გმირი. ამიტომ მე არ ვარ კმაყოფილი, როდესაც ისეთი პროკურორები ინიშნებიან, რომლებიც დუბინკებით დასდევდნენ სამოქალაქო საზოგადოებას. კბილაშვილი ამას რალაცნაირად გამოასწორებს იმიტომ, რომ ამის მზაობა აქვს.

*– გამოდის, საკადრო პოლიტიკის კუთხით ამ ხელისუფლებას პრობლემები აქვს და ისევ მერაბიშვილის კადრები იჩენენ ძალადობას?*

– კი. შსს-ში ისევ ეგენი ბოგინობენ. ვთქვათ, არ არის ვანო მერაბიშვილის კადრი, რა, ალავიძის კადრი ნაკლებია? ახლა, ასდღიანი პერიოდიდან გამომდინარე, დროებით ჩუმად ვარ. როგორც კი ეს ვადა გავა, მე ვიტყვი, რომელი თანამდებობის პირები არ უნდა იყვნენ თანამდებობაზე, რომლებიც იმ გამარჯვებას დაღუპავენ, რომელიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა. ეს არც ივანიშვილს არ მოუპოვებია და არც არავის. სამოქალაქო საზოგადოება ქუჩაში ვიდექით, რომ სააკაშვილის რეჟიმი დასრულებულიყო.

*– შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სიტუაციას ვერ ფლობს, რა ხდება მის უწყებაში?*

– ჩემი აზრით, ღარიბაშვილმა რა უნდა გააკეთოს. როდესაც გახმაურდა ასეთი ფაქტი, რომ 2 დეკემბერს სოზაშვილებზე მოხდა პოლიციელების თავდასხმა, იმავე დღეს პოლიციას უნდა ამოეღო ფირი და გაერკვიათ, ეს ბიჭები სიმართლეს ამბობდნენ თუ არა, რომ თავს პოლიცია დაესხა და პოლიციელებს მართლა ეცვათ თუ არა ფორმა, რომელიც ამ ბიჭებმა დაუხიეს. მე ვფიქრობ, ახლა ეს ფირები გამქრალია. იმავე დღეს რომ ყოფილიყო შს მინისტრის პოლიტიკური ნება, როცა გაიგო, რომ პოლიციამ იყაჩაღა, მთელი იმ განყოფილების პოლიცია უნდა გაეყარა. ახლა რა ხდება: ღარიბაშვილმა ეს ფაქტი ფაქტობრივად ვერ შეაფასა. როცა მე პრესკონფერენციაზე გავახმაურე, რომ სოზაშვილებს თავს პოლიცია დაესხა, შს სამინისტრომ განცხადება გაავრცელა და თქვა, პირიქით, ეს ადამიანები დაესხნენ თავსო. ანუ ფაქტობრივად ამ პოლიციელებმა საქმე იმ ძველ კადრებთან მოაგვარეს, რომლებიც მათ ქომაგობდნენ. არადა, ეს სწორედ შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თან- [illegible]

---

**თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას**

თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაცია მორიგ, რიგით მეთორმეტე ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2012 წლის დეკემბერში გაწეულ ხარჯებს.

პირველი დეკემბრისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 195456.51 ლარი. დეკემბრის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 79272.81 ლარი.

ორგანიზაციის მიერ 2012 წლის დეკემბერში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენილი.

**თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში) 01.12.2012 – 31.12.2012**

**შემოსავლები**

| № | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|
| 1. | 195456.51 | ნაშთი, 2012 წლის 1 დეკემბრისთვის |

**ხარჯვითი ნაწილი**

| № | დანიშნულება | ფაქტიური ხარჯი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1. | ხელფასები | 53777.61 | |
| 2. | ხელფასიდან ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი | 16000 | |
| 3. | საშემოსავლო გადასახადი მომსახურებიდან | 2000 | |
| 4. | თანამშრომლების დაზღვევა | 2532 | |
| 5. | ცენტრალური ოფისის იჯარა | 1590.72 | |
| 6. | ცენტრალური ოფისის კომუნალური გადასახადები | 404.85 | |
| 7. | ლოჯისტიკის ცენტრების ოფისების იჯარა | 2953 | |
| 8. | ბანკის მომსახურება | 14.63 | |
| | ჯამი | 79272.81 | |
| | ნაშთი, 2012 წლის 31 დეკემბრისთვის | 116183.70 | |

# საახალწლო სიურპრიზი აბიტურიენტებს

მერი ნამორაძე



საქართველოში დიპლომი და უმაღლესი განათლება ისევ ძვირად ფასობს. უმაღლესი სასწავლებლები იმდენად მომრავლდნენ, სწავლების ფასი თქვი, თორემ ლამის ყოველ ოჯახს შეიძლება სულ მცირე, სამი დიპლომიანი ჰყავდეს, მიუხედავად იმისა, უნდა ახალგაზრდას განათლების მიღება თუ მხოლოდ სადედამთილო-სასიდედროსთან სურს დიპლომით თავის მოწონება. მშობლები ნემსის ყუნწში ძვრებიან იმისათვის, რომ შვილების სწავლა-განათლება დააფინანსონ. სხვა საქმეა, რამდენად გამოიყენებენ რეალურად დიპლომს და იპოვიან სამუშაო ადგილს შრომის ბაზარზე, ან როდის ამოიღებენ ხელფასით სწავლებაში ჩადებულ ინვესტიციას. ამ სერიოზულ თავსატეხს ნაწილობრივ მოუვლის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა გაგანია კაპიტალიზმში, საქართველოში, სახელმწიფოს საკუთარ თავზე აეღო გარკვეული ფაკულტეტების სტუდენტთა დაფინანსება უმაღლეს სასწავლებლებში. თურმე შესაძლებელი ყოფილა სტუდენტებისათვის უფასოდ განათლების მიღება. ამას, თურმე, ხელისუფლების შეცვლა და კეთილი ნება სდომებია.

მოკლედ, მომავალი სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში 14 სპეციალობაზე სწავლის სრულ ოთხწლიან კურსს სახელმწიფო დააფინანსებს.

ამის შესახებ გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, დავით ზურაბიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ბაკალავრიატის რამდენიმე წამყვანი მიმართულების დაფინანსება შესაძლებელი გახდა სამინისტროს ბიუჯეტში სტუდენტთა საგრანტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდის შემდეგ.

მომავალი წლიდან უფასოდ სწავლას შეძლებენ სტუდენტები, რომლებიც, გამოცდების გავლის შედეგად ჩააბარებენ აგრარული მეცნიერებების მიმართულებით სპეციალობაზე – აგრონომია; განათლების მიმართულებით დაფინანსდება განათლების მეცნიერებები; ინჟინერიის მიმართულებით სპეციალობები – ენერგეტიკა, ელექტროინჟინერია და მშენებლობა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით სპეციალობები – მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია; სოციალური მეცნიერებების მიმართულებით – ეკონომიკა; ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით – არქეოლოგია, ისტორია, ქართული ფილოლოგია და ფილოსოფია, ასევე უფასო იქნება სწავლა არქიტექტურის სპეციალობაზე. მოკლედ, აბიტურიენტებს საახალწლოდ კარგი სიურპრიზი მოუმზადა განათლების სამინისტრომ.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, დაფინანსება შეეხება იმ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა სტუდენტებს, სადაც ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე სადოქტორო პროგრამები ხორციელდება. ჯერჯერობით საუბარია 7 ასეთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაზე, თუმცა, ზურაბიშვილი არ გამორიცხავს, რომ სხვა სასწავლებლებშიც განხორციელდეს ანალოგიური დაფინანსება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა უმაღლეს სასწავლებლებთანაც და იმ შემთხვევაში, თუ კიდევ მოხდება სხვა უნივერსიტეტების დამატება, ამის შესახებ ოფიციალური განცხადება სამინისტროს მხრიდან გაკეთდება. მოკლედ, მისაღებ გამოცდებზე უპრეცედენტოდ მაღალ კონკურსს უნდა ველოდოთ იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლებას სახელმწიფო დააფინანსებს.

# ვისურვებდი, მეტს გაუჩნდეს ნდობა ჩვენდამი და შეეწიოს გაჭირვებულებს

მერი ნამორაძე

„კათარზისმა“ შობა-ახალი წელი საკუთარ ბენეფიციარებს გუშინ მიულოცა. ასაკში შესულ ადამიანებს დიდი ტაშ-ფანდურის სურვილი განელებული აქვთ და თბილად, ტელევიზორთან, ტკბილ სუფრასთან ჯდომა ურჩევნიათ:

– მათთვის, რომლებიც ჩვენთან სადილად და მაშინვე წივილ-კივილს იწყებს. ვერ ვხედავთ გამოსავალს ამ ქალბატონთან დაკავშირებით, – გვითხრა ალადაშვილმა.

იანვრის თვეში „კათარზისი“ რამდენიმე ღია კარის დღის მოწყობას გეგმავს. ამ დღეს ნებისმიერ მსურველს შეუძლია სათნოების სახლის კერძების დაგემოვნება. როგორც წესი, სადილი 2 ათასი ადამიანისთვის მზადდება, თუმცა ცხელი კერძის დაგემოვნების სურვილს 1400-1700 ადამიანამდე




მოდიან, თოვლის პაპა და დიდი ზეიმი გუშინ იყო. უკვე შევიძინეთ ტკბილეული – კანფეტები, „პეჩენია‘, ხილი, შევფუთავთ და 31-ში საჩუქრად გადავცემთ, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას „კათარზისის“ ხელმძღვანელმა ზაურ ალადაშვილმა.

თავშესაფრის ფუნქცია, რომელსაც ეს სათნოების სახლი კისრულობს, ყოველ სეზონზე აქტუალურია, განსაკუთრებით კი ზამთარში, როცა მიუსაფარი ადამიანებისათვის გაუსაძლისი ხდება ქუჩაში ღამის გათევა.

– პირველ სართულზე ერთი ოთახი გამოვყავით ამ ადამიანებისათვის, სადაც ორი საწოლი დგას და თბილა. საპატრულო პოლიციელებს შემოჰყავთ მიუსაფარი ადამიანები და არის შემთხვევები, როცა ერთ ღამეში 5 მოჰყავთ. ამიტომ მჯდომარე მდგომარეობაში უხდებათ ღამის გათევა, თუმცა, როგორი ტენდენციაც გავრცელდა ბოლო ხანებში შენობებში უკანონოდ შეჭრისა, ისეთივე ტენდენცია შეინიშნება ამ ოთახთან დაკავშირებით. ვინც შემოდის, უკან წასვლა აღარ უნდა. ადამიანურად ეს გვესმის, სად უნდა გაუშვა ადამიანი ყინვაში? ძნელია აუხსნა, რომ ერთი ღამის გასათევი ფუნქცია აქვს ამ ოთახს და ხვალ სხვასაც დასჭირდება. არ სურთ ამის გაგება და უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. ადამიანებისთვის რთული ხდება ამის გაგება, რადგან პირადი გაჭირვება ყველაზე რთულად მიაჩნიათ. ერთი თვეა გვყავს ერთი ქალბატონი ამ ოთახში. თავაზიანად უთხრეს, რომ სხვასაც სჭირდება თავშესაფარი, მაგრამ ამის გაგონება არ სურს

გამოთქვამს ხოლმე. ამ ციფრის მერყეობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მიაღწია ინფორმაციამ სოციალურად დაუცველებამდე ან რამდენად მოხდა რელიგიური დღესასწაულის დამთხვევა, როცა ადამიანებს ტაძრებში ყოფნა ურჩევნიათ.

მაინც რას უკავშირდება „კათარზისის“ ხელმძღვანელობის საახალწლო სურვილები? რა თქმა უნდა, უკავშირდება ბევრი მეცენატის გამოჩენას და თანხების მობილიზებას:

– ვისურვებდი მეტს გაუჩნდეს ნდობა ჩვენდამი და შეეწიოს გაჭირვებულებს, რითაც შეუძლიათ, თუნდაც თავიანთი შრომით დაგვეხმარონ. ვიღაცას შეუძლია დაგვეხმაროს თუნდაც იმაში, რომ ხელზე და ფეხზე ფრჩხილები დააჭრან მოხუცებს, გამოუცვალონ პამპერსი. იანვარში სამი ღია კარის დღე გვექნება და მიმტანებად თუ ვინმე დაგვეხმარება, კარგი იქნება. ვისურვებდი ქალაქის ხელმძღვანელობამ მოგვცეს შესაძლებლობა რომელიმე მჭიდროდ დასახლებულ უბანში მეორე სათნოების სახლის გახსნისა, რომელიც ბომჟებს მოემსახურება, სადაც იქნება ბევრი დუშკაბინა და ბევრი საწოლი. ქუჩიდან მოყვანილებს არცთუ სასიამოვნო სურნელი აქვთ და კარგი იქნება, თუ დაბანის და სუფთა სამოსის (თუნდაც სექნდ ჰენდის) ჩაცმის საშუალებას მივცემთ, რომლებსაც არ მოვთხოვთ, რომ მხოლოდ ერთი ღამე გაათენონ, ასეთი მოთხოვნა დისკომფორტულია ჩვენთვისაც და მათთვისაც. თუ ასეთ სახლს დავაფუძნებთ, ეს სანიტარის ფუნქციას შეასრულებს ბომჟებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

# ვინ არიან შუა გაკრეფილები?!

თამარ ნინიძე

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა პოლიტიკაში შემოსვლისთანავე განაცხადა, რომ სააკაშვილთან ახლობლობაში ეჭვმიტანილ პოლიტიკურ ძალებს შუაზე გაკრეფდა.**

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამ შუაგაკრეფილთა შავ სიაში მოხვედრილმა პარტიებმა საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს და პარლამენტს გარეთ დარჩნენ. პოლიტიკურ ასპარეზზე არა მარტო ე.წ. შუა გაკრეფილები არიან, არამედ ის პარტიებიც, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს და ისინიც, ვინც საარჩევნო მარათონში მონაწილეობისგან ბოლო ეტაპზე განაცხადეს უარი, ოპოზიციური ხმები რომ არ გაყოფილიყო. დღეს რამდენიმე პოლიტიკური ძალა იანვრის შუა რიცხვებს ელოდება, რომ გამოცხადებული მორატორიუმის შემდეგ პოლიტიკურ პროცესებში სრულფასოვნად ჩაერთოს და თუ საჭირო გახდა, ახალი ხელისუფლების კრიტიკასაც არ მოერიდოს.

დავიწყოთ დასავლური ბანაკის იმ პარტიებიდან, რომელთა მიმართ ბიძინა ივანიშვილს გამოკვეთილი ანტიპათია ჰქონდა, და რომელთა მისამართითაც აცხადებდა, რომ ნაცმოძრაობის დანამატები და სატელიტები არიან. ქრისტიან-დემოკრატები გიორგი თარგამაძის ლიდერობით წინა მოწვევის პარლამენტში დამაჯერებელი შედეგით შევიდნენ, თანაც ახალშექმნილი პარტიის მხრიდან 9%-ის აღება ბევრს გაუკვირდა. იმ დროს გავრცელებული ვერსიით, ქდმ-ს დაბადება და მისი ზრდა ბადრი პატარკაციშვილის გარშემო დაწყებულ სკანდალურ ისტორიას უკავშირდებოდა. ბადრის საყვარელი ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე გახლდათ. როცა ცხონებული პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას აუდიოჩანაწერი გავრცელდა, გიორგი თარგამაძეს დაბრალდა ამ ჩანაწერის ფალსიფიცირებაში მონაწილეობის მიღება და პოლიტიკურმა წრეებმა ის ბადრის ღალატში დაადანაშაულეს. მოგვიანებით კი, როცა ის და მისი ჟურნალისტური საძმო „იმედიდან“ გაუშვეს, მათ პარტია ჩამოაყალიბეს. მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ ქდმ-ის შექმნაში და დაფინანსებაში ერეკლე კოდუას ხელი იყო გარეული. ერთი სიტყვით, ქდმ-მა ამ ჭორების ფონზე გაიკაფა გზა და მალე პარლამენტში გავიდნენ, მაგრამ მავანთა შეფასებით, ქდმ ფსევდოოპოზიციურ ძალად იქცა, რომელიც ფაქტობრივად გადამწყვეტ მომენტებში ნაცელიტას „სატოპკეს“ აძლევდა და არაპოპულარული კანონების გატანაში ეხმარებოდა.

ასეთივე როლი მათთვის სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, ერგოთ დავითაიას და თორთლაძის ერთკაციან პარტიებს და ედპ-ს, რომელიც პარლამენტში მხოლოდ ერთი დეპუტატით – გურამ ჩახვაძით იყო წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც საზოგადოება და არასაპარლამენტო ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ ეს პარტიებიც ფსევდოები არიან. საგარეო კურსში და რუსეთისადმი აგრესიის გამოხატვაში არც ისინი უდებდნენ ტოლს ნაცელიტას და ხშირად ინიციატივებშიც კი ეცილებოდნენ.

ახალი მემარჯვენეები წინა მოწვევის პარლამენტში არ ბრძანდებოდნენ, მაგრამ რვიანის და შემდეგ ექვსიანის დაშლა მათ დაბრალდა. მოარული ხმებით ახლები ეკეკლუცებოდნენ ნაცმოძრაობას და საარჩევნო კოდექსის განხილვის დროს „სატოპკეები“ არც მათ დაუკლიათ. არასაპარლამენტო ოპოზიცია გონივრულ ეჭვს გამოთქვამდა, რომ მემარჯვენეები სააკაშვილის ხელისუფლებამ მილიონ საარჩევნო ლარად იყიდა.

ახალ პარლამენტში ეს პარტიები ვერ მოხვდნენ, ახლა კი მორატორიუმის რეჟიმის გასვლას ელოდებიან და, სავარაუდოდ, იანვრის მიწურულს დაიწყებენ აქტიურობას. 2013 წელი მათი პოლიტიკაში ხელახლა დამკვიდრების წელია და სწორ პოლიტიკურ გათვლაზე დამყარებული ქმედებებით შესაძლოა ამომრჩეველს მათზე გული მოუბრუნდეს. სხვადასხვა სუბიექტური მიზეზები და ფაქტორები, რასაც ამ პარტიებისგან გაიგონებთ, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ის, რომ თავად ამომრჩეველმა არ მოინდომა სახელგატეხილ ნაცმოძრაობასთან ტკბილ ჭუკჭუკში ეჭვმიტანილი პარტიები ისევ პარლამენტში ეხილა, სავარაუდოდ, უკვე ოპოზიციაში გადაბარგებულ ნაცმოძრაობასთან სახიფათო ალიანსში. რა ტაქტიკას და სტრატეგიას აირჩევენ ხსენებული პარტიები, ეს მათი გადასაწყვეტია, მაგრამ მათ გაცილებით მძიმე და რთული მუშაობა ელით, რომ ქართველ ამომრჩეველს მათი იდეები მოეწონოს.

პარლამენტში 1-ელი ოქტომბრის შემდეგ ვერ მოხვდა კახა კუკავას „თავისუფალი საქართველო“, ვერ ვიტყვით, რომ კუკავა და მისი რაზმი აქტიურები არ იყვნენ წინასაარჩევნო პერიოდში, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო მათ ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს. ის კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ კუკავას ცდა არ დაუკლია, რომ მისი მსგავსი იდეოლოგიის პარტიების გამსხვილება მომხდარიყო და საერთო ძალისხმევით მოხვედრილიყვნენ ახალ პარლამენტში. ნაწილობრივ მარტო ყოფნამ და ალბათ იმანაც, რომ ქართველები პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს ჯერ ისევ არ ენდობიან, შესაძლოა ამ პარტიის გარეთ დარჩენას შეუწყო ხელი.

კუკავასაც ჰქონდა ოცნება, არა მარტო ქართულ ოცნებას გააჩნია ოცნებები, კუკავას უნდოდა, ბურჯანაძის დემოკრატები, შაშიაშვილის თეთრები და ასათიანის ტრადიციონალისტები ერთ მსხვილ ბლოკად გასულიყვნენ პარლამენტში. მოგეხსენებათ, 1-ელი ოქტომბრის არჩევნები მასობრივი გაყალბებების ფონზე წარიმართა, ჯერ კიდევ ძლიერი იყო ნაცმოძი და არც ის არის უმნიშვნელო ფაქტორი, რომ ნაცებს რეგიონებში ადგილობრივ თვითმმართველობებში ყველგან საკუთარი ხალხი ჰყავდათ გამაგრებული, ამიტომ კუკავა, ბლოკის არსებობის შემთხვევაშიც კი, ვერაფერს გააწყობდა ნაცებთან ბრძოლაში. იმ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, არ დაქსაქსულიყო ოპოზიციური ხმები, რაც სწორად გათვალა ბურჯანაძემ და თავისი პარტია არჩევნებიდან მოხსნა. სულ ერთია, ამ ყოვლად უთანასწორო ბრძოლაში ბურჯანაძე ვერაფერს შეძლებდა. ახლა კუკავასთვის, ბურჯანაძისთვის და სხვა დემოკრატიული პარტიებისთვის გამოჩნდა იმის შანსი, რომ გაუყალბებელ არჩევნებში თამამად ჩაერთონ და, სავარაუდოდ, ყველა დონის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას.

ქართულ პარტიას არც ოპოზიციის ხმების გაყოფა აღელვებდა, არც იმის სურვილი ჰქონდა, რომ ნაცების დამარცხებაში საკუთარი მცირე წვლილი შეეტანა. ქართულ პარტიას მისი ლიდერის გაურკვეველი პოლიტიკური მომავალი აინტერესებდა. ამიტომ საპარლამენტო არჩევნებში არა თუ მონაწილეობა არ მიუღია, არამედ პასიურობა არჩია და პოლიტიკური შეფასებებისგანაც თავი შეიკავა.

ლეიბორისტების სლოგანი კარგა ხანს გვემახსოვრება, „მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთ“. გაურკვეველი იყო, მდიდრებში პატიოსნად გამდიდრებულებს გულისხმობდა ნათელაშვილი თუ გამდიდრებულ ნაცელიტას. ეს სლოგანი ქართველებმა არ მიიღეს, „ღმერთია ჩვენთან, ვიწყებთ!“ – ასე იწყებდა საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული შალვა ნათელაშვილი საარჩევნო კამპანიას. დაიწყო და წარმატებით ვეღარ დაასრულა. თავდაუსხმელობის მორატორიუმი მასაც აქვს გამოცხადებული, თუმცა ადვილია იმის წარმოდგენა, როგორ უჭირს ახლა, რადგან ყველაზე კარგი პერიოდია როგორც ნაცების, ასევე ქართული ოცნების კრიტიკისთვის. არჩევნებში მარცხის გამო ლეიბორისტებს თუ კიდევ ექნებოდათ პოლიტიკაში დარჩენის სურვილი, ბევრი ამას ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ შალვა ერთადერთია და გამორჩეული, ის ბუჩქებში არ იმალება, არც დავით გამყრელიძესავით პოლიტიკიდან მიდის. გამყრელიძეს პოლიტიკაში მოსვლამდე ბიზნესი ჰქონდა, მდიდარი მეწარმე, ექიმი და ლიდერი იყო. შალვას ბეგრაუნდი კი ბიზნესთან არ იყო დაკავშირებული, მისი კონკურენტებისგან მსმენია, ის პოლიტიკაში ყოფნის დროს გახდა შეძლებული და ეს როგორ მოხდა, ამაზე არ ვიჭორავებთ, დრო მოვა და ამაზე თავად ილაპარაკებს.

ბოლოს კი ერთი ახალგამოჩეკილი პარტიის შესახებაც უნდა აღინიშნოს, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერებმა დააფუძნეს. პარტიის შექმნა სარფიანი ბიზნესია, ხოლო მისი შენახვა და პოლიტიკური მოღვაწეობა რომ პრესტიჟული საქმეა, საქართველოში ეს პატარა ბავშვმაც კი იცის. ამ პარტიის ლიდერია დავით თარხან-მოურავი, პარტიის სახეები კი ობიექტივის დამფუძნებელი ირმა ინაშვილი და პოლიტიკოსი ადა მარშანია არიან. დავით თარხან-მოურავის განცხადებით, პოლიტიკური პროცესი ქვეყანაში აყვავდა და გაცოცხლდა. ახალი პარტიის ფინანსებზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებებია, მაგალითად, ნაცელიტა მიიჩნევს, რომ პატრიოტთა ალიანსს მილიონები ბიძინამ გადაურიცხა ციხის კადრების გავრცელებაში მისი დამსახურებისთვის, ოპოზიციურ პარტიათა ნაწილი ეჭვობს, რომ ამ პარტიას გარედან აფინანსებენ და ეს ფინანსები რუსეთიდან მოედინება. მოკლედ, ვარაუდები არსებობს, მაგრამ ვინაიდან პრეტენზია გვაქვს, რომ საქართველო თავისუფალი ქვეყანა უნდა იყოს, ამიტომ ყველას აქვს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება. თარხან-მოურავი მზად არის თავისი პარტიით ბევრ სოლიდურ პარტიას გაუწიოს კონკურენცია. ასე რომ, ვნახოთ, 2013 წელი მნიშვნელოვანი წელი იქნება პოლიტიკური სპექტრისთვის და კიდევ ერთხელ ეს წელი გამოავლენს, ბუნებრივი გადარჩევის პროცესში რომელი პარტია აღმოჩნდება პოლიტიკაში დარჩენის ღირსი.

# როგორ შევხვდეთ ახალ წელს?

## მიხეილ ცაგარელის რჩევები

ეკა ირემაშვილი

სულ რამდენიმე დღეში ახალი 2013 წელი დადგება და მის შესახვედრად ყველა გამალებით ემზადება. ახალი წელი, ასტროლოგების განმარტებით, გველის წელიწადია. ამჯერად მოდის წყლის გველის წელიწადი, რომელიც 60 წელიწადში ერთხელ მეორდება. ძველად ჩინელები მიიჩნევდნენ, რომ თუ სახლში გველი იყო, ამ ოჯახს შიმშილი არ შეაწუხებდა. მიჩნეულია, რომ გველის ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს მართლაც არასოდეს ექნება ოჯახში შიმშილობის პრობლემა, რადგან ის ფანტასტიკური შუამავალია, ამ თვისებას კარგად იყენებს ბიზნესშიც. თუკი მაინც შეიქმნა შიმშილის საშიშროება, გველი შესწირავს და გაყიდის ყველა მისთვის ძვირფას ნივთს, რათა ოჯახს აარიდოს განსაცდელი. ამბობენ, რომ გველი ძალიან გამჭრიახი, ინტელიგენტი, ბრძენი და ეშმაკია. გველი ჰოროსკოპის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ნიშანია. ის მზაკვარი და შურისმაძიებელია. უყვარს სხვებისთვის თავისი წესებისა და შეხედულებების თავს მოხვევა და აჯილდოებს მხოლოდ მათ, ვინც მის წესებს მისდევს.

გველის წელიწადი დრაკონის წელიწადის შემდეგ მოდის და ის 12 წელიწადში ერთხელ მეორდება. რადგანაც ჩინური ახალი წელი ყოველთვის ცვალებადია, აუცილებელია, ზუსტად განისაზღვროს თარიღი, თუ როდის იწყება გველის წელი. ასტროლოგები თვლიან, რომ გველს აქვს კარგი ინტუიცია, არის თვითდაკვირვებული. ის მიმზიდველია, მისი აღელვება საკმაოდ რთულია, დახვეწილობით იქცევს ყურადღებას, მაგრამ აქვს უარყოფითი მხარეებიც. გველი შორსმჭვრეტელი და მესაიდუმლეა. ის ემოციურობით არ გამოირჩევა. აქვს უნარი, იყოს ეშმაკი და მოხერხებული, იმუშაოს მშვიდად ბიზნესგარემოში. შეუძლია შემოატრიალოს ფაქტები მისთვის სასარგებლოდ. ახასიათებს ეგოიზმი და კომუნიკაბელურობით ვერ დაიკვეხნის. მიჩნეულია, რომ არსებობს ხუთი ტიპის გველი, რომელსაც ხუთი ელემენტი შეესაბამება – ლითონი, წყალი, ხე, ცეცხლი და მიწა. ლითონის გველი ძალიან მონდომებული პიროვნებაა, რომელიც არაფერზე დაიხევს უკან, თუკი მიზნისკენ მიდის. კრახისგან თავის დასაცავად ის იყენებს თავის „გონებრივ დაცვას“ 24 საათის განმავლობაში. მან კარგად იცის ფულის მნიშვნელობა, თუმცა უფრო მეტად აფასებს ამ ფინანსების წყალობით შეძენილ ნივთებს. აქვს უნარი, მარტივად დააღწიოს თავი რთულ სიტუაციას. ასეთი ტიპის გველთან სიფრთხილეა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება კეთილი იყოს, განსაცდელში მარტივად მიგატოვებთ.

წყლის გველი გავლენიანი და შორსმჭვრეტელია, აქვს მართვის კარგი უნარი და ქვეშევრდომებს კარგად იყენებს თავისთვის. მოტივაცია და ინტელექტი მას საშუალებას აძლევს, მარტივად მიაღწიოს წარმატებას. ის ყოველთვის იღებს სასურველს, მიუხედავად უარყოფითი გათვლებისა. წყლის გველი აღფრთოვანებულია თავისი ოჯახითა და მეგობრებით, თუმცა ყოველთვის მალავს ამ მხარეს კოლეგებთან და ბიზნესპარტნიორებთან.

ხის გველისთვის ხის ელემენტი სიმყარის ნიშანია. სხვა ელემენტის გველებისგან განსხვავებით, ხის გველი ნაკლებ პატივმოყვარე და ეგოისტია. მას ბევრი მეგობარი ჰყავს და ძალიან უყვარს თითოეული მათგანი. იშვიათია, როცა გველი რჩევებს თავისი საყვარელი ადამიანისგან იღებს, თუმცა ხის გველს ეს თვისებაც აქვს. ის ძალიან კეთილია.

ცეცხლის გველს უყვარს ხმამაღლა საუბარი და საკუთარი აზრის საზოგადოებისთვის თავზე მოხვევა. საუბრის დროს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს თანამოსაუბრეს. აქვს დარწმუნების განსაკუთრებული ნიჭი, ამიტომაც ასეთი ადამიანები ეგოცენტრიკები არიან, თუმცა ამ თვისებით ცუდად არ მოქმედებენ სხვებზე. ისინი წარმატებას მარტივად აღწევენ.

მიწის გველი, სხვა გველებისგან განსხვავებით, ყველაზე მშვიდია, ის უფრო რეალურად აფასებს ცხოვრებას. საკმაოდ რისკიანი და მეგობრულია. სჯერა, რომ შრომისმოყვარეობის წყალობით წარმატებას მიაღწევს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გველი მარტივად ვარდება სტრესში, ამიტომ მან თავიდან უნდა აირიდოს გაურკვეველი და ხმაურიანი ატმოსფერო. ხშირად აწუხებს თავის ტკივილი. ამიტომ სჭირდება მშვიდი გარემო. იმისთვის, რომ იცხოვროს დიდხანს და ჯანმრთელად, სჭირდება ძილი და მშვიდი ცხოვრება. როცა საქმე სახლის დეკორაციას ეხება, გველი საკმაოდ რთული და კულტურული პიროვნებაა. უყვარს მშვიდი ტონები და ურჩევნია ჰქონდეს ერთი ძვირადღირებული სკამი, ვიდრე ათი და იაფფასიანი. ხშირად აქვს სახლში ჩაწერილი ბუნების ხმები, რადგან მშვიდად გრძნობს თავს. გველი მატერიალისტია და სურს, ყოველთვის იმაზე მეტი ჰქონდეს, ვიდრე სხვებს აქვთ. გველს მარტივად სწყინდება ყველაფერი და ამიტომაც ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს. საკმაოდ ორგანიზებული და გონებაგახსნილია სამუშაო პროცესში. შეუძლია პრობლემების გადაწყვეტა მარტივად და სწრაფად. უყვარს მარტო მუშაობა, ამიტომაც თანამშრომლებისგან ყოველთვის თავი შორს უჭირავს და ნაკლებ ინფორმაციას გასცემს. მისთვის ყველაზე ცუდი კოშმარი იქნება თავისი ფინანსების უაზროდ გაფლანგვა. გველს შეუძლია იყოს წარმატებული მანამ, სანამ ფულს გონიერად იყენებს. ხშირად არ აფასებს სიტუაციას და სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას, რამაც შეიძლება გაკოტრებამდეც მიიყვანოს. გველს უყვარს არდადეგები. დიდ სიამოვნებას პოულობს არაფრის კეთებაში. უყვარს მდიდრული საგნები, ხშირად ხარჯავს ფულს ისეთ საგნებზე, რომლებიც არ სჭირდება. არდადეგების დროს ფულს ხარჯავს ძვირადღირებულ რესტორნებში, სპა სალონებში. აუცილებელია, ასეთ დროს დაიკმაყოფილოს სურვილები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდება. მას ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს, რადგან ის ნაკლებ ემოციური და გახსნილი არსებაა. შეძენილი მეგობრები კი ცხოვრების ბოლომდე ჰყავს. საზოგადოებას უჭირს მასთან ურთიერთობა, რადგან ის საიდუმლოებით სავსე პიროვნებაა, თუმცა უყვარს საზოგადოება და ჭორაობა. თუ მას არასწორად მოექცევი, არასდროს გაპატიებს. ურთიერთობაში ყოველთვის ცდილობს, ბოლო სიტყვა თვითონ თქვას. გველი მიმზიდველი და სექსუალურია. თუ მათ სურთ თქვენთან ურთიერთობა, ამას აუცილებლად იგრძნობთ. პარტნიორის არჩევის დროს ის ბევრ თვისებას დეტალურად აფასებს. მას გვერდით ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც დააფასებს მის იუმორის გრძნობასა და სხარტ გონებას. გველი ურთიერთობაში ხშირად ეჭვიანი და ეგოისტი ხდება. ხშირად ითხოვს პარტნიორისგან შეუძლებელსაც.



ასე ახასიათებენ ასტროლოგები გველს, თუმცა, როგორი იქნება ახალი 2013 წელი, როგორ შევხვდეთ მას და რა მივიტანოთ საახალწლო სუფრაზე, ამ თემებზე „ახალ თაობას“ წინასაახალწლოდ ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ესაუბრა.

**მიხეილ ცაგარელი:**

– 2013 წლის 10 თებერვალს, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, იწყება წყლის სტიქიის გველის ზოდიაქოს წელიწადი, რომლის ძირითადი თვისებებია სიფრთხილე, სიბრძნე და ინტუიცია. გველის წელიწადი, ტრადიციულად, მიეკუთვნება წინასწარ განსაზღვრულ წლებს, რომლებიც ხშირად იდუმალებით არიან მოცულნი.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სათავეს უდებს მატრიარქატის პერიოდის დაწყებას, რომელიც 13.000 წელს გასტანს და რომლის მსვლელობისას სამყაროს მმართველობის სადავეები მანდილოსნებს გადაეცემათ. ისინი უფრო დიდ როლს შეასრულებენ სამყაროს განვითარებაში, შემოიტანენ რა ისეთ თვისებებს, როგორებიც არის სიმშვიდე, დედობრივი ინსტინქტი, ინტუიცია, კომპრომისის უნარი და ა.შ.

***– რით არის გამორჩეული ახალი 2013 წელი?***

– სამყაროს სულიერი ევოლუციის ენერგეტიკული ბირთვი გადაინაცვლებს ინდოეთ-ტიბეტის რეგიონიდან სამხრეთ ამერიკაში: ჩილესა და პერუს ანდების მთების ზონაში, ამიტომ უახლოესი 13.000 წლის განმავლობაში სამყარო ღვთიურ სიბრძნესა და დიდ სულიერ ოსტატებს მიიღებს სწორედ ამ რეგიონიდან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იწყება დედამიწის განვითარების ახალი ეტაპი, მაიას ტომების მიხედვით მეექვსე მზის პერიოდი, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ცნობიერების მეოთხე განზომილებაში ტრანსფორმაციას და ყველა ამ ისტორიულ მოვლენას სათავეს დაუდებს ახალი 2013 წელი.

***– კიდევ რა არის საყურადღებო გველის წელიწადში?***

– გველის წელიწადთან აკავშირებენ სხვადასხვა უსიამოვნებას, მათ შორისაა 1989 წლის 9 აპრილი საქართველოში. ასევე კრიზისებს, მეორე მხრივ კი – სასიკეთო და მოულოდნელ ცვლილებებს. მთავარია, რეაგირება მოვახდინოთ გველივით მყისიერად, რათა დროულად გამოვიყენოთ მოცემული შესაძლებლობები და ინტუიციაზე დაყრდნობით სწორი არჩევანი გავაკეთოთ. ასეთ წელიწადში სასიკეთოა მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება, გარეგნული იმიჯის შეცვლა, ახლებურად ცხოვრების აღქმა. აღმოსავლური კალენდრის – წყლის სტიქიის გველი გაამახვილებს ტყუილს, ეჭვიანობას, წყენას, შურს, რის გამოც შესაძლებელია, მოიმატოს კონფლიქტებმა როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ასევე საზოგადოებასა და ოჯახებში. ამიტომ მეტი თვითკონტროლი ესაჭიროება თქვენს გრძნობებსა და მოქმედებებს.

***– რას ნიშნავს წყლის გველის წელიწადი?***

– 2013 წელი წყლის გველის წელიწადია. მისი მთავარი პრინციპებია მოთმინება, ზედმიწევნით მომზადება, სიფრთხილე. ეს წელიწადია უკანასკნელი გლობალური მსოფლიო კრიზისის თვალსაზრისით, თუმცა იგი წარმატებული იქნება ისეთი ბიზნესმენებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ სარისკო მოქმედება, მასშტაბურ პროექტებში ინვესტიციების ჩადება. ფულს ნუ შეაგროვებთ, აბრუნეთ იგი, რათა მან შემოსავალი მოგიტანოთ. მიუხედავად იმისა, რომ წელიწადი კარგია ფულის ბრუნვისთვის, გველს არ უყვარს უყაირათო ხარჯვა და, თუ თქვენ სხვანაირად არ შეგიძლიათ მოქმედება, მაშინ უყაირათო ხარჯვას ისევ ფულის შეგროვება სჯობია. გველი ხომ მითოლოგიის მიხედვით ძვირფასეულობის დამცველიც არის. ეს წელიწადი ასევე კარგია მსხვილი ბიზნესისათვის, პოლიტიკური კარიერისთვის, მსხვილი კორპორაციების ხელმძღვანელობისათვის. წარმატებული ელფერი მიეცემა ნოვატორულ მოქმედებებს, შემოქმედებით მიდგომას პრობლემების გადაწყვეტისას, აქტიური პოზიციის დაკავებას.

***– როგორი იქნება გველის წელი პოლიტიკური მოვლენებისთვის?***

– გველის წელიწადში მაღალია პოლიტიკური ცვლილებების ალბათობა, თუმცა მათი მომზადება ფარული ფორმით მოხდება, ამიტომაც წელს მოსალოდნელია სერიოზული ინტრიგები, ჭორები პოლიტიკის სფეროში. მათ, ვინც პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, მინდა ვუთხრა, თქვენ შესაძლებელია აღმოჩნდეთ ასევე სერიოზული ფსიქოლოგიური კრიზისისა და ექსტრემალური სიტუაციის წინაშე, ამიტომ წლის პირველ ნახევარში ეცადეთ, შეცდომები არ დაუშვათ, მეტი ყურადღება დაუთმეთ ბუნებასთან კონტაქტს, სწორ კვებას, ენერგიის დროულად აღდგენას, რათა გაუძლოთ ცხოვრებისეულ მოვლენებს, ამ გზით თქვენ შეძლებთ ენერგიის სწორ რეგენერაციას, რასაც ითხოვს გველი, რომელსაც კრიტიკულ პერიოდში შეუძლია რეგენერაცია ანუ ტყავის გამოცვლა. წლის მეორე ნახევარი უფრო სტაბილურ იერსახეს შეიძენს. კარგი იქნება, თუ ინტუიციურად შეიგრძნობთ მომავალ ცვლილებებს და სათანადოდ მოემზადებით მათთვის. აკონტროლეთ ხასიათში აგრესია და უარყოფითი თვისებები, ისწავლეთ სადაც საჭიროა მოლოდინის რეჟიმში საკუთარი თავის გადაყვანა. სულსწრაფობა წელს შეცდომის ფაქტორია. ნებისმიერი თქვენი სიტყვა და მოქმედება უნდა იყოს ზედმიწევნით მომზადებული, როგორც გველის შეტევა. გონიერება, პრაქტიკულობა, დაგეგმარების უნარი, მოთმინებასთან ერთად – სწორედ ეს თვისებებია მეტად წარმატებული გველის წელიწადში.

***– ამ წელიწადის მმართველი თუკი წყლის სტიქიაა, რა უნდა გაითვალისწინონ ადამიანებმა?***

– დიახ, წყლის სტიქიაა ამ წელიწადის მმართველი, ამიტომ წლის ფერებია: შავი, ლურჯი, ცისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, ყავისფერი.

***– ამ ფერების კომბინაციით შევხვდეთ ახალ წელს?***

– ახალი წლის შეხვედრა უმჯობესია სწორედ ამ ფერებში და ნუ უგულებელყოფთ ამ რჩევას, რადგან 2013 წელს წლის სამი ელემენტი იქნება დაკავშირებული წყალთან – სხეულის, შესაძლებლობებისა და იღბლის ელემენტები. უპირატესობა ჩაცმულობასა და მაკიაჟში მივცეთ ლურჯ ფერს. მოერიდეთ ტანსაცმელსა და აქსესუარებში გველის ტყავისგან დამზადებული ნივთების გამოყენებას, რათა არ გაანაწყენოთ წლის მბრძანებელი და ამით არ მიიღოთ მისი დარტყმა წლის მსვლელობისას.

***– სამკაულები თუ არის მნიშვნელოვანი?***

– რა თქმა უნდა. კარგია სამკაულების გამოყენებაც. საუკეთესო ქვა არის ლურჯი ან შავი საფირონი, შემდგომ ლაზურიტი, ლურჯი ტურმალინი, ლურჯი ცირკონი და ლურჯი ოპალი.

***– როგორ გავაწყოთ საახალწლო სუფრა?***

– საახალწლო სუფრა უნდა იყოს წარმოდგენილი უხვი რაოდენობის ხორცეულით, კვერცხით, ძეხვეულით, ხილით, ბოსტნეულით, რძის პროდუქტებითა და ტკბილეულით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გველის დაცვის ელემენტი ხეა, რომელსაც ეკუთვნის ყავისფერი და მწვანე ფერები, სხვადასხვა ნაკეთობები, მოსასხამები, ქოლგა და ა.შ. შეიძლება სწორედ ამ ფერებში იყოს გადაწყვეტილი. კარგია წლის განმავლობაში მათ შორის საახალწლო სუფრაზე ხის ნაკეთობების, მათ შორის, ჭურჭლის გამოყენება, სახლის ხის მასალით მოპირკეთება, რაც გააძლიერებს ოჯახის დაცვას. გველი მისტიკური არსებაა, ამიტომ საახალწლო დღეებში, გართობის ტრადიციულ ფორმებთან ერთად, კარგი იქნება მკითხაობა ყავაზე, კარტზე და ა.შ., ასევე მისტიკური აზროვნების ადამიანებთან საუბარი. გველს ტრაბახი და ფეიერვერკები არ იზიდავს, იგი უფრო მაგიური სანახაობის მოყვარულია, ამიტომ ილუზიონისტები უფრო მეტად ჯდებიან მის გემოვნებაში, რადგან წლის იღბლის სიმბოლო წყლის ელემენტია, ამიტომ კარგი საჩუქარია წყლის მინი შადრევანი, წყლის მინერალები – მარგალიტი, ზურმუხტი, მარჯანი. ახალი წლის დაწყებამდე კარგი იქნება აბაზანის მიღება, რათა ამით უკეთ განეწყოთ მომავალი წლის წარმატების ფაქტორებზე. მოერიდეთ სუფრაზე უცხო ადამიანების დაპატიჟებას და არ დაგავიწყდეთ, ახალი წლის საყიდლებისთვის კარგი დღეებია 14, 19, 29 და 30 დეკემბერი.

***– რა შეგიძლიათ გვითხრათ მომავალი წლის ასტროლოგიურ პროგნოზზე?***

– რაც შეეხება 2013 წლის ზოგად ასტროლოგიურ პროგნოზს აღმოსავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის, მათ 5-ბალიანი სისტემით შევაფასებ და დავიწყებ ვირთხით. მისი წლებია (1948,60,72...) და შევაფასებ 3 ქულით. ვირთხების საყურადღებოდ კი ვიტყვი, რომც არ იყოთ კმაყოფილი თქვენი სოციალური მდგომარეობით, ეს წელიწადი მაინც არ არის სასიკეთო პერიოდი რადიკალური ცვლილებებისა. სირთულეები გადაიტანეთ მშვიდად, აიმაღლეთ პროფესიონალიზმი, იმუშავეთ, მოერიდეთ ცვლილებებს – შრომისუნარიანობა, მოთმინება, პრაქტიკულობა თქვენი დამხმარეა. შემდეგი არის ხარი. მისი წლებია (1949, 61, 73...) და მას ვაფასებ 5 ქულით. 2013 მეტად წარმატებული წელიწადია ხარებისთვის, აქტიურად იმოქმედეთ, შესაძლებელი იქნება ამბიციური გეგმების რეალიზება, თქვენი შემოქმედება კი მოგიტანთ წარმატებასა და სახელს. იგი წელს უწყობს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, პარტნიორულ ურთიერთობებს, მოგზაურობებს, თანამდებობის დაკავებას. ვეფხვს (1950, 62, 74...) ვაფასებთ 3 ქულით. ვეფხვებო, ნუ დაგეგმავთ ავანტიურულ მოქმედებს და ნუ ელოდებით მნიშვნელოვან წარმატებებს. წელიწადი იქნება მშვიდობიანი სოციალურ სფეროში. მეტი ყურადღება დაუთმეთ სახლს, ოჯახსა და ახლობლებს. კატა (1951, 63, 75...) შეფასება – 4 ქულა, კატებო, წელს საკუთარ თავში შეიძლება აღმოაჩინოთ ლიტერატურული ან ორატორული ნიჭი, შეიძინოთ ახალი ცოდნა. იგი ხელს უწყობს ახალ ნაცნობობას, რომლებიც დიდ ზეგავლენას მოახდენს თქვენს ბედ-იღბალზე. დრაკონი (1940, 52, 64...) შეფასება – 2 ქულა. მეტი სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ ნებისმიერი წამოწყებისას, მაღალია მატერიალური დანაკარგების ალბათობა, ამიტომაც ნუ მიიღებთ მონაწილეობას სარისკო და ავანტიურულ პროექტებში, საეჭვო ფინანსურ გარიგებებში. გველი (1941, 53, 65...) შეფასება – 5 ქულა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თქვენს ინტუიციაზე, ცოდნაზე, სიბრძნეზე, მოთმინებაზე და, აქედან გამომდინარე, იმ მიმართულებაზე, რომელშიც გამოავლენთ აქტიურობას. აკონტროლეთ აზრები, სიტყვები, მოქმედები, მაშინ ფრიად წარმატებული იქნებით. წელიწადი გაძლევთ მაღალი ცხოვრებისეული მწვერვალების დაპყრობის საშუალებას. ცხენი (1942, 54, 66...) შეფასება – 3 ქულა. ეს წელიწადი იქნება წარმატებული იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებით ზედმეტად აქტიური. დააგროვეთ ენერგია, დაზოგეთ ძალები, სულიერად განვითარდით და დაელოდეთ თქვენს ვარსკვლავურ პერიოდს. თხა (1943, 55, 67...) შეფასება – 4 ქულა. იგრძნობთ ძალების მოზღვავებასა და შემოქმედებით აღტყინებას. კარგი წელიწადია მეგობრული ურთიერთობებისთვის. საქმიან და სასიყვარულო სფეროებში მოიმატებს წარმატების შესაძლებლობა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოგზაურობა. მაიმუნი (1944, 56, 68...) შეფასება – 3 ქულა. კარიერული წინსვლის კიბეზე ნუ იქნებით ზედმეტად აქტიური, ამავდროულად საჭიროა მშვიდად და თანმიმდევრულად წინსვლა და მიზნის მიღწევა. მამალი (1945, 57, 69...) შეფასება – 5 ქულა. წელს პერიოდულად მოგეცემათ საშუალება, გახდეთ სხვათა წინამძღოლი. შესაძლებელია ავტორიტეტის გაუმჯობესება, უცხოეთში მოგზაურობა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, საინტერესო ინფორმაციის მიღება, საჭირო კონტაქტების დამყარება. ძაღლი (1946, 58, 70...) შეფასება – 2 ქულა. მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გმართებთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შეიძლება აღმოჩნდეთ ექსტრემალურ სიტუაციაშიც, მოერიდეთ მასობრივი შეკრებების ადგილებს. მეტი სიფრთხილე გმართებთ კონტაქტების, მათ შორის ინტიმური კონტაქტების მიმართ. ტახი (1947, 59, 71...) შეფასება – 4 ქულა. წელს შეძლებთ საუკეთესო დიპლომატიური თვისებების გამოვლენას, პარტნიორის პოვნას როგორც სასიყვარულო, ასევე ბიზნესსაქმიანობისთვის. შესაძლებელია კარიერული წინსვლა. რაც შეეხება ზოგად ასტროლოგიურ პროგნოზს ზოდიაქოს ნიშანთათვის 2013 წლის გველის წელიწადში, თემა ვრცელია, ამიტომ ამაზე ჩვენს მომავალ ინტერვიუში ვისაუბროთ.

# დავით თარგამაძე: ბრძოლას ყველა მეტოქესთან ვაპირებთ“

გასულ წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად ეროვნული ნაკრებისა და უკრაინული „ილეჩევეცის“ ფეხბურთელი დავით თარგამაძე დაასახელეს. „თაგვის“ არც წელს ჰქონიაურიგო სეზონი, თუმცა ტიტულის შენარჩუნება ვერ მოახერხა და გურამ კაშიას დაუთმო.

თარგამაძეს ახლა შვებულება აქვს და, ცხადია, საქართველოსაც ეწვია. ნახევარმცველმა, სამომავლო გეგმებისა და ეროვნული ნაკრების გარდა, სხვა საინტერესო თემებზეც ისაუბრა.

***— უკრაინის ჩემპიონატით დავიწყოთ.***

— კლუბში ახალი მწვრთნელი მოვიდა, მაგრამ ჩვენს გამოსვლას წარუმატებელს ვერ დავარქმევ. განვლილი ეტაპი, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის გამოსაცდელი დრო იყო, რადგან მოთამაშეთა კონტინგენტი სრულიად გადახალისდა. უფრო ახალგაზრდული კლუბი ჩამოყალიბდა. რაც შეეხება მთლიანად სეზონსა და თამაშებს, ამ მხრივაც ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა, პირველი ეტაპი მე-8 ადგილით დავასრულეთ და მეხუთეადგილოსანს მცირედით ჩამოვრჩებით.

***— საკუთარ თამაშზე რა შეგიძლია თქვა?***

— წინა სეზონი ბევრად უკეთესი მქონდა... ახალი მწვრთნელის მოსვლამდე სულ სხვა სიტუაცია იყო გუნდში, ახლა უფრო დისციპლინირებული და მოწესრიგებული სიტუაციაა. ამ ყველაფერმა გავლენა იქონია ჩემს თამაშზე. ვფიქრობ, მეორე ეტაპზე უკეთეს შედეგს ვაჩვენებ.

***— წესით, დონეცკის „შახტარის“ კუთვნილება ხარ. თუ არის საუბარი უკან დაბრუნებაზე?***

— დაზუსტებით მხოლოდ ის ვიცი, რომ სერიოზულად აკვირდებიან კლუბიდან განათხოვრებულ ყველა ფეხბურთელს. ალბათ, გადაწყვეტენ, ვისი დაბრუნება შეიძლება გუნდში. მე ამ ეტაპზე არავინ შემხმიანებია.

***— შენ გარდა, უკრაინის ჩემპიონატში ბევრი სხვა ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. მინდვრის მიღმა ერთმანეთთან თუ გაქვთ კონტაქტი?***



— კი, რა თქმა უნდა, ყოველდღიურად ვერ ვხვდებით ერთმანეთს, რადგან სხვადასხვა ქალაქში ვთამაშობთ, მაგრამ სატელეფონო კონტაქტი ხშირად გვაქვს.

***— დიდი ინტერესი მოჰყვა ლევან ყენიას უკრაინის ჩემპიონატში გადასვლას. გაამართლა თუ არა მან უკრაინელი ჟურნალისტებისა და გულშემატკივრის მოლოდინი?***

— ბევრი ამბობდა, რომ ლევანი ვერ მოახერხებდა თამაშს ისეთ დონეზე, როგორსაც მისგან ელოდა გულშემატკივარი. თუმცა, ლევანმა დაამტკიცა, რომ ძლიერი ფეხბურთელია, თავის საქმეს კარგად აკეთებს.

***— თავად ლევანთან თუ გისაუბრიათ და მისი განწყობა როგორია?***

— ლევანი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი. ის კარგად აცნობიერებს, რაც ხდება მის ირგვლივ. 2 წლის უთამაშებელია, მაგრამ თანდათან ფორმას უბრუნდება. დარწმუნებული ვარ, თავის სათქმელს აუცილებლად იტყვის.

***— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს თუ ადევნებ თვალს?***

— გასულ წლებთან შედარებით, ჩემპიონატის დონე აშკარად მომატებულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ „დილას“ სულ ცოტა დააკლდა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე. ჩემპიონატში არიან ლიდერი გუნდები — თბილისის „დინამო“, „ზესტაფონი“, „ტორპედო“, „დილა“, რომლებიც ამაღლებენ საქართველოს ჩემპიონატის დონეს. იმედია, სხვა გუნდებიც შეძლებენ კარგად თამაშს და გამოსწორდება ხარისხი. ეს ყველაფერი კი იმაზე იქონიებს გავლენას, რომ ფეხბურთელები პანტაპუნტით უცხოეთში არ წავლენ სათამაშოდ.

***— საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ურთულეს ჯგუფში მოხვდა.***

— პირველი და მეორე ადგილისთვის პრეტენზიას ვერ გამოვთქვამთ, მაგრამ მესამე ადგილიც არ იქნება ურიგო შედეგი. ჯერ არ ვართ იმ დონის ნაკრები, რომ ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდებს შესაბამისი წინააღმდეგობა გავუწიოთ. რაც შეეხება ბელარუსსა და ფინეთს, ვიტყოდი, რომ დიდი განსხვავება არ არის. ფინეთთან ფრე ჩვენივე შეცდომების შედეგი იყო და დავისაჯეთ კიდეც. არადა, ყველაფერი კარგად დაიწყო. მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ვიგებდით, თან ფინელებს ფეხბურთელი გაუგდეს და დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დავუშვით შეცდომები და გათანაბრების საშუალება მივეცით.

***— ესპანელებსაც გაუჭირდათ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგობის გატეხა.***

— მატჩის დაწყებამდე ყველას ეგონა, რომ ყველაფერი პირველ ტაიმშივე გადაწყდებოდა, მაგრამ ჩვენ ბრძოლისუნარიანი თამაში ვაჩვენეთ და ბოლოს დასანანი გოლი გავატანინეთ. ორი ძალიან კარგი მომენტი გვქონდა, სამწუხაროდ, გოლით არც ერთი არ დასრულდა. მაქსიმუმი გავაკეთეთ და დავამტკიცეთ, რომ ჩვენც შეგვიძლია თამაში.

***— როგორი განწყობით გახვედით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის წინააღმდეგ სათამაშოდ?***

— პირადად მე ესპანეთთან მატჩის წინ საერთოდ არ ვნერვიულობდი და მინდოდა მოედანზე გასვლა, მათთან თამაში. „რეალისა“ და „ბარსელონის“ ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები მსოფლიოში უძლიერესია. მათთან თამაში ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ისევე, როგორც თითოეული ჩვენი ნაკრების წევრისთვის.

***— საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ციკლის უახლოესი მატჩი 22 მარტს საფრანგეთთან აქვს, მაგრამ მანამდე ამხანაგური შეხვედრა გველოდება ალბანეთთან.***

— ალბანეთის ნაკრებთან 6 თებერვალს გვაქვს თამაში. წელს უკვე დავამარცხეთ ისინი თბილისში (2:1) და, ალბათ, რევანშისთვის იქნებიან განწყობილი. ფაქტია, მარტივი თამაში არ გველის. ჩემმა ალბანელმა მეგობარმა მითხრა, ალბანელები რევანშისთვის ემზადებიანო. 22 მარტს კი საფრანგეთში გვაქვს გასვლა. ფრანგებთან ბოლომდე თამაშს, ბრძოლას ვაპირებთ. ასეთი განწყობა გვაქვს ნებისმიერ მეტოქესთან.

# დავით იაშვილი: უკრაინული პასპორტით ვამაყობ!“

რამდენი ქართველი ფეხბურთელია, სხვადასხვა ქვეყნის ლიგებში რომ თამაშობს სხვა ქვეყნის სახელით, თვლაც შეუძლებელი ხდება. ერთ-ერთი ასეთი მათგანი 20 წლის უკრაინული პასპორტის მქონე ქართველი მცველი დავით იაშვილია, რომელმაც ცოტა ხნის წინ კიევის „დინამოსთან“ კონტრაქტი 2016 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. იაშვილი მანამდე „ობოლონის“ საკუთრება იყო.

იაშვილის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც ფეხბურთელად ჩამოყალიბებას უკრაინას უმადლის.

***— „დინამოში“ გადასვლის ვარიანტი როდის გამოჩნდა?***

— მას შემდეგ, რაც უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი ჩავატარე და „ობოლონის“ შემადგენლობაში პირველ ლიგაში თამაში დავიწყე. ეს დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა. „დინამოს“ წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და მოლაპარაკება დავიწყეთ.

***— გადაწყვეტილების მისაღებად რამდენი დრო დაგჭირდა?***

— „დინამოში“ გადასვლას მაშინვე დავთანხმდი, რადგან ბავშვობიდან ამ კლუბში თამაშზე ვოცნებობდი. როგორც ცნობილია, „ობოლონში“ თავდაპირველად ჩემი გაშვება არ უნდოდათ, მაგრამ შემდეგ დათანხმდნენ.

***— რთული მისახვედრი არაა, რომ ქართული ფესვები გაქვს.***

— დიახ, ასეა. მე ქართული წარმომავლობის უკრაინელი ვარ. თბილისში დავიბადე და 15 წლის ასაკამდე საქართველოში ვცხოვრობდი. თუმცა, როგორც ცნობილია, ჩემს ქვეყანაში ძალიან რთული ეკონომიკური სიტუაცია იყო და გარდა ამისა, ავტოკატასტროფაში მამა დამეღუპა. ნათესავები, რომლებიც უკრაინაში ცხოვრობენ, საქართველოდან წასვლაში დამეხმარნენ. დედა თბილისში დარჩა, მაგრამ კონტაქტი მუდმივად გვაქვს. თბილისში ცხოვრობს ჩემი უფროსი ძმაც. კიევში ბიძის ოჯახში ვცხოვრობ. თავის დროზე ის ფეხბურთს თამაშობდა და თბილისის „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელი ვერ გახდა. მადლობელი ვარ, რომ სახლში მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს მიქმნიან, რათა, ფეხბურთის გარდა, სხვა არაფერზე ვიფიქრო. ბიძასთან ერთად მუდმივად განვიხილავთ ცალკეულ მატჩებს და უშუალოდ ჩემს თამაშს. ის ჩემთვის მეორე მწვრთნელივით არის.

***— თუმცა, პასპორტი უკრაინული გაქვს.***

— დიახ და ამით ვამაყობ. უკრაინაში გადასვლის მომენტში საქართველოს მოქალაქეობა არ მქონდა.

***— უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობ. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში არ შეუთავაზებიათ?***

— უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო, ჩემი სამშობლოა. ძალიან ვამაყობ და კმაყოფილი ვარ, რომ უკრაინის ახალგაზრდულში ვთამაშობ. ეს ჩემთვის დიდი პატივია. რაც შეეხება საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს, ამ გუნდში არავის მივუწვევივარ. გულწრფელად გითხრათ, ეს არასწორი იქნებოდა. მართალია, არაფერი სერიოზულისთვის არ მიმიღწევია, მაგრამ ის, რასაც ახლა წარმოვადგენ, სწორედ უკრაინის დამსახურებაა, ხოლო „დინამოში“ ჩემს გადასვლას დიდ მიღწევად ვთვლი.

***— ფეხბურთის თამაში რა ასაკში დაიწყეთ?***

— ფეხბურთელობაზე პატარაობიდან ვოცნებობდი. საქართველოში ფეხბურთს ყველა თამაშობს, მაგრამ იმის საშუალება, რომ ამ საქმით პროფესიონალურად დაკავდნენ, პრაქტიკულად, არ არის. ამიტომ ფეხბურთში ვარჯიში 15 წლის ასაკში დავიწყე. კიევში ჩემი პირველი მწვრთნელი ოლეგ დერევინსკი იყო. საფეხბურთო სკოლის დამთავრების შემდეგ კიევის „არსენალს“ მივაშურე. იქ თითქმის 2 წელიწადი ვვარჯიშობდი აწ გარდაცვლილი ნიკოლაი ვოლოსიანკოს ხელმძღვანელობით, მაგრამ კონტრაქტი არ მქონია. მოგვიანებით „ობოლონში“ მოვხვდი, რომელთან ხელშეკრულება ჯერ ერთი წლით გავაფორმე, მერე — ორით. ახლა კი „დინამოში“ ვარ.

***— ფეხბურთის თამაშის გარდა, ბავშვობაში რითი იყავი დაკავებული?***

— სიმღერაზე დავდიოდი, მაგრამ განსაკუთრებულს ვერაფერს მივაღწიე. ისე, მართლაც, მთელი დღეები ეზოში ბურთს დავდევდი.

***— თავდაპირველად რომელ პოზიციაზე თამაშობდი?***

— ბავშვობაში — ნებისმიერზე, მაგრამ ახლა უფრო დაცვაში თამაში მიზიდავს. ყველაზე კომფორტულად თავს დაცვის ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზე ვგრძნობ. ჩემთვის დიდი განსხვავება არ არის, ამ პოზიციებიდან რომელზე ვითამაშებ. ასევე, საყრდენ ნახევარმცველად თამაშის გამოცდილებაც მაქვს, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, დაცვის ცენტრში მირჩევნია.



დაცვაში თამაში რატომ მომწონს? ალბათ, იმიტომ, რომ სწორედ იქ გამომდის ყველაფერი. ამასთანავე, შეტევებში ჩართვაც მიყვარს და თავით თამაში დროს თავდაჯერებული ვარ.

***— მემარჯვენე ხარ თუ მემარცხენე?***

— მემარჯვენე, მაგრამ მარცხენა ფეხით თამაშის გაუმჯობესებაზე მუდმივად ვმუშაობ. ის ისეთი არ მაქვს, როგორც მარცხენა, მაგრამ პასის გაკეთება შემიძლია. დაცვის მარცხენა ფლანგზე ჯერ არ მითამაშია, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფეხს მუდმივად ვავარჯიშებ, არა მგონია, ეს პრობლემა იყოს.

***— შვებულების დროს სათამაშო ფორმას როგორ ინარჩუნებ?***

— კვირაში ორჯერ კონჩა-ზასპაში, „დინამოს“ საწვრთნელს ბაზაზე ვვარჯიშობ. როგორც ყველგან, შვებულების დაწყებამდე პროგრამას გვაძლევენ, რომლის მიხედვით, ამ დროის განმავლობაში უნდა ვივარჯიშოთ. შვებულება აქტიური უნდა იყოს. არ არსებობს, ერთი თვე დაგვითხოვონ და ამ ხნის განმავლობაში არაფერი ვაკეთოთ. პროგრამაში ძირითადად ფიზიკური ვარჯიშები და სირბილია შეტანილი. ამ ეტაპზე აუცილებელია, კვირაში ორი დღე ვივარჯიშო, ხოლო იანვრის დასაწყისიდან ყოველდღე ვივარჯიშებ. საშუალოდ ერთი საათი ვვარჯიშობ.

***— „დინამოში“ რა მიზნებს ისახავ?***

— „დინამო“ „დინამოა“! მე არარეალურ მიზნებს ვისახავ, ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელი ამბობს, არარეალური მიზნები იმიტომ უნდა დაისახო, რომ მაქსიმალურს მიაღწიო. სწორედ ამ დროის შეიძლება, შენს მაქსიმუმს მიაღწიო. ვცდილობ, ამ პრინციპით ვიცხოვრო. „დინამოში“ მწვრთნელის ნდობა უნდა გავამართლო — ჯერ „დუბლების“ სასტარტოში მოვხვდე, ხოლო შემდეგ — პირველ გუნდში.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ევროპა ახალ წელს მარტო ინგლისით ხვდება

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29.12 | სანდერლენდი-ტოტენჰემი | 3.6 | 3.2 | 2.1 |
| 29.12 | ასტონ ვილა-უიგანი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 29.12 | ნორვიჩი-სიტი | 6.0 | 3.8 | 1.57 |
| 29.12 | რედინგი-ვესტ ჰემი | 2.8 | 3.25 | 2.5 |
| 29.12 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.3 | 5.0 | 10.0 |
| 29.12 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.8 | 3.25 | 5.0 |
| 29.12 | ფულემი-სუონსი | 2.2 | 3.2 | 3.4 |
| 29.12 | არსენალი-ნიუკასლი | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 30.12 | ევერტონი-ჩელსი | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 30.12 | ქპრ-ლივერპული | 4.0 | 3.4 | 1.91 |

### სანდერლენდი-ტოტენჰემი

სანდერლენდი: ***ტრავმ-***ლი კატერმოლი, ვესლი ბრაუნი

ტოტენჰემი: ***ტრავმ-***ბენუა ასოუ-ეკოტო, კლინტ დემპსი, იუნის ქაბული

### ასტონ ვილა-უიგანი

ასტონ ვილა: ***ტრავმ-***გაბრიელ აგბონლაჰორი, დარენ ბენტი, რონ ვლაარი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი

უიგანი: ***ტრავმ-***ივან რამისი, ბენ უოტსონი, ალბერტ ხრუსატი, ანტოლინ ალკარაზი

### ნორვიჩი-სიტი

ნორვიჩი: ***ტრავმ-***ალიოტ ბენე, ენდრიუ სურმანი, ჯონ რუდი

სიტი: ***ტრავმ-***მარიო ბალოტელი, ალექსანდერ კორალოვი, სამირ ნასრი, მიკა რიჩარდსი, ჯეკ როდველი

### რედინგი-ვესტ ჰემი

რედინგი: ***ტრავმ-***ჯეისონ რობერტსი, შონ მორისონი, ალექს მაკკარტნი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ-***გიუ დემელი, გარი ონილი, ჯორჯ მაკარტნი, მოჰამედ დიამე, ენდი კეროლი, იუსი ბენაიუნი, რიკარდო ვაზ ტე

### მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი

მანჩესტერი: ***ტრავმ-***რაფაელი, ანდერსონი, ნანი, შინჯი კაგავა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ-***სტივენ რიდი, კლაუდიო ჯაკობი

### სტოკი-საუთჰემპტონი

სტოკი: ***ტრავმ-***ჩარლი ადამი, მაიკლ ოუენი, რონი დელაპი, მარკ უილსონი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ-***პაულო გაზანიგა, ადამ ლილანა

### ფულემი-სუონსი

ფულემი: ***ტრავმ-***დამიენ დაფი, მაჰამადუ დიარა, ბრაინ რუიზი

სუონსი: ***ტრავმ-***ანგელ რანგელი, ნეილ ტეილორი

### არსენალი-ნიუკასლი

არსენალი: ***ტრავმ-***ტომაშ როსიცკი, ოლივიე ჟირუ, აბუ დიაბი, ანდრე სანტოსი, ლუკაშ ფაბიანსკი

ნიუკასლი: ***ტრავმ-***ჰატემ ბენ არფა, სტივენ ტეილორი, იოან კაბაიე, რაიან ტეილორი

### ევერტონი-ჩელსი

ევერტონი: ***ტრავმ-***სიმუს კულემანი, ტონი ჰიბერტი, კევინ მირალასი; ***დისკვ-***მარუან ფელაინი

ჩელსი: ***ტრავმ-***რაიან ბერტრანდი, ორიოლ რომეუ, ჯონ ტერი

### ქპრ-ლივერპული

ქპრ: ***ტრავმ-***არმანდ ტრაორე, კირონ დაიერი, ჟულიო სეზარი, ჟოზე ბოსინგვა, პარ სი ჯუნი, ბობი ზამორა, ენდრიუ ჯონსონი

ლივერპული: ***ტრავმ-***ოსამა ასაიდი, მარტინ კელი, ფაბიო ბორინი

## სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 19 | 15 | 1 | 3 | 48:28 | 46 |
| 2.სიტი | 19 | 11 | 6 | 2 | 34:16 | 39 |
| 3.ჩელსი | 18 | 10 | 5 | 3 | 37:17 | 35 |
| 4.ტოტენჰემი | 19 | 10 | 3 | 6 | 34:25 | 33 |
| 5.ევერტონი | 19 | 8 | 9 | 2 | 32:23 | 33 |
| 6.ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 3 | 6 | 28:23 | 33 |
| 7.არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:18 | 30 |
| 8.სტოკი | 19 | 6 | 10 | 3 | 18:14 | 28 |
| 9.სუონსი | 19 | 6 | 7 | 6 | 27:23 | 25 |
| 10.ლივერპული | 19 | 6 | 7 | 6 | 28:26 | 25 |
| 11.ნორვიჩი | 19 | 6 | 7 | 6 | 20:28 | 25 |
| 12.ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:22 | 23 |
| 13.სანდერლენდი | 19 | 5 | 7 | 7 | 20:24 | 22 |
| 14.ფულემი | 19 | 5 | 6 | 8 | 29:34 | 21 |
| 15.ნიუკასლი | 19 | 5 | 5 | 9 | 23:30 | 20 |
| 16.ასტონ ვილა | 19 | 4 | 6 | 9 | 15:36 | 18 |
| 17.საუთჰემპტონი | 18 | 4 | 4 | 10 | 23:34 | 16 |
| 18.უიგანი | 19 | 4 | 3 | 12 | 19:35 | 15 |
| 19.რედინგი | 19 | 1 | 7 | 11 | 21:37 | 10 |
| 20.ქპრ | 19 | 1 | 7 | 11 | 16:33 | 10 |

# მოკლეს თუ არა უიტნი ჰიუსტონი?

## კერძო დეტექტივის დასკვნა ოფიციალური გამოძიების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს

– უიტნი ჰიუსტონი მოკლეს! – ასე ამტკიცებს კერძო დეტექტივი პოლ ჰუებლი. მან გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადასცა მასალები, რომლებიც ამას ადასტურებს, – იტყობინება „ეხო მოსკვი“.

უიტნი ჰიუსტონი (1963-2012) მუსიკოსის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები ბაპტისტები იყვნენ. თავად უიტნი ბავშვობაში ბაპტისტური ეკლესიის მრევლი იყო, მოგვიანებით „ორმოციანელთა“ ეკლესიაში დაიწყო სიარული, შემდგომში კი რელიგიას საერთოდ ჩამოშორდა. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ჰიუსტონი ამბობს:

– მთლიანად მუსიკით ვცხოვრობ და სხვა რამისათვის, უბრალოდ, დრო არ მრჩება!

ჰიუსტონის აღმასვლა 1992 წლიდან დაიწყო. სწორედ მაშინ გამოვიდა გახმაურებული ფილმი „მცველი“, რომელშიც ჰიუსტონის სიმღერები ჟღერდა. ნიჭიერ მომღერალზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. შემდეგ იყო კიდევ ექვსი ფილმი, სადაც მონაწილეობდა ჰიუსტონი. Aსე გახდა უიტნი პოპვარსკვლავი. თავდაპირველად მას კარგი გოგოს რეპუტაცია ჰქონდა, თუმცა მალე ეს შეიცვალა:

– მასზე ერთიმეორის მიყოლებით ფრიად არასასიამოვნო ჭორები გავრცელდა, – წერდა ფრანგული „მონდი“.

თავდაპირველად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ჰიუსტონის სასიყვარულო თავგადასავლები იყო. მთელი ამერიკა ჭორაობდა ჰიუსტონისა და ფეხბურთელ კენინჰემის ურთიერთობაზე. კენინჰემის შემდეგ ჰიუსტონს ახალი კავალერი გამოუჩნდა, ცნობილი მსახიობი ედ მერფი.

– მათი ურთიერთობა ძალზე რომანტიკული იყო, – წერდა „გაიბებშელ ტაიმსი“.

თუმცა ყველაზე დიდი მითქმამოთქმა ჰიუსტონსა და ბობი ბრაუნს შორის ურთიერთობას მოჰყვა. ბობი ბრაუნი, ცნობილი მომღერალი და მოცეკვავე, ამავე დროს, არანაკლებ ცნობილი მექალთანეც გახლდათ. მის სასიყვარულო თავგადასავლებზე მთელი ლეგენდები დადიოდა. ამასთან, ბრაუნს კანონთანაც პრობლემები ჰქონდა. მას არაერთგზის დასდეს ბრალად ნარკოტიკების მოხმარება და რეალიზაცია. Bროგორც კი ბრაუნისა და ჰიუსტონის ურთიერთობა დაიწყო, ბევრი ჟურნალისტი წერდა, ბრაუნმა უიტნი ჰიუსტონი ნარკოტიკებს მიაჩვია და ახლა ორივე მოთავებული ნარკომანიაო. მართლაც, 2000 წლის 11 იანვარს ჰიუსტონი და ბრაუნი ჰავაის აეროპორტში დააკავეს. დაცვამ მათ ქაღალდებში ნარკოტიკები აღმოაჩინა.

– ცოლ-ქმარს ნარკოტიკების შენახვის ბრალდება წაუყენეს, – წერდა „მონდი“.



საქმე სასამართლომდე მივიდა. ჰიუსტონს 21 ათასი დოლარის გადახდა მოუხდა. თანხა ახალგაზრდულ ანტინარკოტიკულ ფონდში გადაირიცხა. სიენ-ენის ჟურნალისტებთან ინტერვიუში ჰიუსტონი აცხადებს:

– მე დასანანი გაუგებრობის მსხვერპლი აღმოვჩნდი, თუმცა, მოდი, სინანულს შევეშვათ. თანხა ანტინარკოტიკულ ფონდში გადავრიცხე და ინციდენტიც ამით ამოიწურა!

ამ სკანდალმა უიტნი ჰიუსტონის რეპუტაცია დიდად შელახა. შემდეგ ამას ქმართან ჩხუბიც დაერთო. ბობი ბრაუნის სასიყვარულო თავგადასავლებმა უიტნის მოთმინების ფიალა აავსო. მიუხედავად იმისა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა, ბრაუნი არავითარ გართობას არ იკლებდა, ჰყავდა უამრავი საყვარელი, ჩხუბისა და ნარკოტიკების მოხმარებისათვის კი არაერთგზის კანონთანაც პრობლემები ჰქონდა. ბოლოს ის და უიტნი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაიყარნენ, თუმცა ამ სკანდალმა ჰიუსტონის რეპუტაცია კიდევ უფრო შელახა. პოპვარსკვლავზე ახალი ჭორები დაირხა. ზოგი იმასაც ატკიცებდა, რომ უიტნი ნარკომაფიასთან იყო დაკავშირებული.

– უიტნი ჰიუსტონი არა მარტო ნარკოტიკების მომხმარებელი, არამედ გამსაღებელიცაა, – ამტკიცებდა ზოგიერთი.

იმაში, რომ ჰიუსტონი ნარკომანია, ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ამაზე ცნობილი პოპვარსკვლავის სახე უკვე ნათლად მეტყველებდა, თუმცა იმის დამტკიცება, რომ უიტნი ჰიუსტონი ნარკოტიკების გასაღებას ეწეოდა, ვერ მოხერხდა. ამასობაში ახალი სკანდალები აზვირთდა. გართულდა ურთიერთობა უიტნისა და მამამისს შორის. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ჰიუსტონმა მამას სასამართლოში უჩივლა. შემდეგ იყო კონფლიქტები დედინაცვალთან. უიტნი ჰიუსტონის სახელიც ყვითელი პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდიოდა.

– მიუხედავად ამისა, უიტნის სიკვდილმა ყველას გული დასწყვიტა, – წერდა „სეგოდნია“.

პოპვარსკვლავის გვამი ლოს-ანჟელესის ფეშენებელური სასტუმროს ნომერში აღმოაჩინეს (2011 წლის 11 თებერვალი). მკვდარი უიტნი პირველად დეიდამ იპოვა. „როგორც ჩანს, აბაზანაში ბანაობისას მას გულის შეტევა მოუვიდა და დაიხრჩო“, – ასეთი იყო ოფიციალური ხელისუფლების პირველი კომენტარი. ხალხში კი დაირხა ჭორი:

– უიტნი ჰიუსტონი მოკლეს! ის ნარკომაფიის მსხვერპლია!

2012 წელს პოლიციამ ამ საქმის კვლევა დაასრულა და ოფიციალური დასკვნაც გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ უიტნი ჰიუსტონი სისტემატურად იყენებდა კოკაინს, რამაც ათეროსკლეროზი გამოიწვია. ამას დაემატა გადაღლა და ნერვული გამოფიტვა. შედეგად, ბანაობის დროს პოპვარსკვლავს გულის შეტევა მოუვიდა და აბაზანაში დაიხრჩო.

– ამრიგად, ეს უბედური შემთხვევა იყო, – ასეთი გახლდათ ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია.

დანარჩენი ჰემეტის, ჩენდლერის, მაკ-გივერნისა თუ დეტექტივის სხვა ამერიკელი ოსტატების საუკეთესო ტრადიციების მიხედვით მოხდა. კერძო მაძებარმა პოლ ჰუებლმა უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე ოფიციალურმა პოლიციამ. ჰუებლმა დაადგინა, რომ უიტნი ჰიუსტონს 1,5 მილიონი დოლარის ვალი ჰქონდა.

– მას ეს თანხა ერთ-ერთი ნარკოტიკებით მოვაჭრისთვის უნდა გადაეხადა, – ამტკიცებს კერძო მაძებარი.

მისი ვერსიით, ჰიუსტონს ამ თანხის გადახდა არ შეეძლო. Nნარკოვაჭარმაც მას განგსტერები მიუგზავნა.

– მე მაქვს ვიდეოფირი, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ შეცვივდნენ უცხო მამაკაცები ჰიუსტონის ნომერში, – განაცხადა მაძებარმა პოლ ჰუებლმა.

კერძო მაძებარმა ეს ფირი გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადასცა. კითხვაზე, თუ როგორ, რა ხერხებით შეძლო მან მისი მოპოვება და ვინ გადაიღო ფირი, მიუგო:

– ეს პროფესიული საიდუმლოა!

მაძებარმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

– რასაკვირველია, კატეგორიულად ვერ ვიტყვი, რომ უიტნი ჰიუსტონი მოკლეს, თუმცა მასალები, რომლებიც გამაჩნია და რომლებიც გფბ-ს წარმომადგენელს გადავეცი, უდავოს ხდის შემდეგს: აუცილებელია ხელახალი გამოძიების ჩატარება.

დღეს საბოლოო სიტყვას გამოძიების ფედერალური ბიუროდან ელიან. Mისი დასკვნის შემდეგ შეგვეძლება დანამდვილებით ვთქვათ, მოკლეს თუ არა უიტნი ჰიუსტონი და, თუკი მოკლეს, კონკრეტულად ვინ დაუკვეთა ეს დანაშაული.

**ნიკა თევზაძე**

# სიურპრიზების კასკადი

სიურპრიზები, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ანუ მაშინ როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა,

დაიწყო, 2012 წელსაც გაგრძელდა და ყველაფერი იქეთ მიდის, რომ პოლიტიკური სიურპრიზების ნაკლებობას არც მომავალ 2013 წელში უნდა ველოდოთ.

თუ არ ჩავთვლით 2011 წლის ოქტომბერში გაკეთებულ განცხადებას პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სიურპიზების ავტორი ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება იყო, მაშინ როცა მოგელაძის ინსტიტუტიდან დაწყებული, ოპონენტებს ბრძოლის ისეთი მეთოდები შესთავაზა, რომელიც არცერთ ცივილიზებულ თუ არაცივილიზებულ ქვეყანაში, არცერთ ხელისუფლებას არცკი დაესიზმრება.

თუმცა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ამჯერად სიურპრიზების ავტორად უკვე ახალი, კოალიციის მთავრობა მოგვევლინა. მათი სიურპრიზები ჯერჯერობით მხოლოდ გახმაურებული დაკავებებით შემოიფარგლება, თუმცა უკვე აშკარად იკვეთება კონტურები, რომ ძალიან მალე, საზოგადოება კიდევ ბევრი სიახლის მომსწრე გახდება სხვადასხვა სფეროში. ამასთან, ეს სიახლეები საზოგადოებისთვის ნამდვილად სასარგებლო იქნება, რადგან მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, ამის თქმის საფუძველს ნამდვილად იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის დღევანდელმა პრემიერმა, თავისი პირველი დაპირება ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ, ზუსტად გაცხადებულ ვადაში – ერთ წელიწადში შეასრულა და ამ პიროვნების მიმართ მთლიანად ერის მოლოდინი და იმედები ძალიან დიდია, გარკვეულ დონეზე, საზოგადოებაში უკმაყოფილების განცდას ტოვებს ქვეყანაში მიმდინარე ე.წ. „სამართლიანობის აღდგენის პროცესი.“ აღსანიშნავია, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, ძალოვანი უწყებები აშკარად დამოუკიდებლად და ადამიანის უფლებათა მაქსიმალური დაცვის მცდელობით მოქმედებენ, მაგრამ ხალხში უკმაყოფილებას სწორედ ეს „ზედმეტი ჰუმანურობა“ იწვევს, რაც სავსებით ლოგიკური და გასაგები რეაქციაა იმ ხალხისგან, ვინც ცხრა წლის განმავლობაში ავტორიტარულ მმართველობას იძულებით იტანდა.

არ არის გამორიცხული, რომ სამართლიანობის აღდგენის მსგავსი მეთოდებით უკმაყოფილო რომელიმე კონკრეტულმა სუბიექტმა, თუ შესაძლებლობა მიეცემა, თავის მიმართ სამართლიანობის აღდგენა თავადვე გადაწყვიტოს, რაც ძალიან ცუდი იქნება ქვეყნისთვის როგორც საგარეო იმიჯის, ისე საშინაო განვითარების თვალსაზრისითაც. ასევე გაუგებარია ხალხისთვის ის ბრალდებები, რის საფუძველზეც ისეთ ადამიანებს აკავებენ, რომელთა სისასტიკეზეც, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ლეგენდები დადიოდა. როგორც წესი, ასეთი ადამიანების მიმართ წაყენებული ბრალდების შინაარსი, ხშირ შემთხვევაში, მათ მიერ ჩადენილ საქმეებთან შედარებით, უმნიშვნელო თამაშად მოგეჩვენებათ.

სამართლიანობის აღდგენის განცდა ხალხში ნამდვილად გაჩნდა. მათ გაითავისეს ისიც, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ ძალადობით და ტერორით შექმნილი მითი თავიანთი უძლეველობის შესახებ, ბლეფი აღმოჩნდა და არ გაუკვირდებათ, თუ ხვალ, ძალოვან უწყებებში თავად სააკაშვილს დაიბარებენ. მხოლოდ, ხალხს, როგორც აღვნიშნეთ, ძალოვანი უწყებების მიმართ მეტი პრინციპულობის მოთხოვნა გაუჩნდა.

საზოგადოებაშიც და ექსპერტებშიც ნელ-ნელა უკვე გაქრა მოსაზრება და ვარაუდი ნაციონალების შესაძლო რევანშის შესახებ, რადგან ყოფილი ხელისუფლების გაუთვლელი, სპონტანური და უხეშ შეცდომებზე აგებული ქმედებები, თვით გამოუსწორებელ ოპტიმისტ ნაციონალსაც კი ჩაუქრობს იმედს. ამას ემატება პრეზიდენტის განცხადებები, რომელმაც უკვე დაივიწყა კოჰაბიტაციის პრინციპები და ღია ლანძღვაზე და შეურაცხყოფაზე გადავიდა.

ნებისმიერ სახელმწიფოში, მიხეილ სააკაშვილს, იმ განცხადებისთვის, რაც მან საპატრულო პოლიციისა და საბაჟოს თანამშრომლების მიმართ გააკეთა, მინიმუმ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების დასაბუთებას მოსთხოვდნენ, მაქსიმუმ კი ეს, საპატრულო და საბაჟო სამსახურების გაფიცვით დასრულდებოდა. თუმცა უკვე სააკაშვილის განცხადებებს როგორც ეტყობა, აღარც, ერთ დროს მიშასთვის საამაყო საპატრულო და საბაჟო სამსახურებში აქცევენ ყურადღებას. აღარაფერს ვამბობ ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმულ კონკრეტულ, ღია ბრალდებებზე მათ კორუმპირებულობასთან დაკავშირებით.

მიხეილ სააკაშვილი თავისი განცხადებებით, რომელიც არათუ პრეზიდენტს, რომელიმე კლუბის ხელმძღვანელსაც კი არ შეშვენის, კიდევ უფრო

გაგრძელება მე-11 გვერდზე


**ფოთისა□და□ხობის□მიტროპოლიტ□გრიგოლის□კურთხევით 2009□წლის□ივლისიდან□მიმდინარეობს□ხობის□მონასტრის უძველესი□ტაძრის□სარესტავრაციო–აღდგენითი□სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

